



ეჭვქვეშ აქვთ ჩაყენებული ანგარიშები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკები“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

8 დეკემბერი, 2021 წელი

N 49/36

ვგზ. N 1

სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად
სახელმწიფოს მიერ განხორციელებული
ღონისძიებების (შემდგომი რეაგირება)
ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

საჩივრი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	4
შემაჯამებელი მიმოხილვა	6
1. შესავალი	10
1.1 აუდიტის მოტივაცია.....	10
1.2 აუდიტის მიზანი.....	11
1.3 აუდიტის კრიტერიუმები	11
1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია	13
2. ზოგადი ინფორმაცია.....	15
2.1 სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.....	15
2.2 სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	16
2.3 სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი	17
2.4 2015 წელს ჩატარებული აუდიტის შედეგები.....	18
3. აუდიტის მიგნებები	25
3.1 რისკის შეფასების პროცესის რეგულირების ხარვეზები	25
3.2 რისკის შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მონაცემების ნაკლოვანებები	34
3.3 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მართვის ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებული ხარვეზები	39
3.4 სააგენტოს მიერ სურსათში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირების პოლიტიკის ნაკლოვანებები	42
დანართები	47

გამოყენებული ტერმინები და შემოკლვაები

დაავადებათა კონტროლის ცენტრი (NCDC) – სსიპ – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

სამსახური – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახური.

საბაჟო დეპარტამენტი – სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი.

სააგენტო – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

აკადემია – სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ეკონომიკის სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ინფრასტრუქტურის სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ჯანდაცვის სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მეცნიერთა ჯგუფი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ რისკის შეფასებისათვის შექმნილი პროფილურ მეცნიერთა ჯგუფი.

კოდექსი – საქართველოს კანონი – სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.

„კოდექს ალიმენტარიუსი“ – საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების, ნორმების, სახელმძღვანელო მითითებების და რეკომენდაციების კრებული, სურსათის შემადგენლობის, სურსათის წარმოების და უვნებლობის სფეროში.

რისკის შეფასება – რისკის ანალიზის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებს და მოიცავს საფრთხის იდენტიფიცირებას, საფრთხის აღწერა-დახასიათებას, საფრთხის ზემოქმედებას, რისკის დახასიათებასა და სხვ.

რისკის მართვა – რისკის შეფასებისაგან განსხვავებული პროცესი, რომლის მიზანია, რისკის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სათანადო ვარიანტ(ებ)ის შერჩევის საშუალებით, რისკის პრევენციისა და კონტროლის შესაბამისი ზომების შერჩევა.



რისკის კომუნიკაცია – რისკის ანალიზის პროცესში საფრთხის, რისკის, რისკის შეფასების შედეგებისა და რისკის მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მიუკერძოებელი ინფორმაციისა და დასკვნების დროული და შეუფერხებელი გაცვლა რისკის შემფასებლებს, რისკის მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, მომხმარებლებსა და ბიზნესოპერატორებს შორის.

მონიტორინგი – სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად.

FAO – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

EFSA – ევროპის სურსათის უვნებლობის უმაღლესი ორგანო.

SOP – სტანდარტული საოპერაციო პროცედურები.



შემაჯავებელი მიმოხილვა

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე სურსათის მოხმარებით მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი იყოს ეფექტიანი როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვარზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2015 წელს ჩაატარა სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი. აღნიშნული აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის, ასევე გატარებული რეფორმებისა და გამოწვევების შესწავლის მიზნით, განხორციელდა შემდგომი რეაგირების აუდიტი და გამოვლინდა გარკვეული სახის ნაკლოვანებები, რომლებიც დაკავშირებულია სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასების, სახელმწიფო კონტროლის მართვის ელექტრონული პროგრამის და აღმოჩენილი დარღვევების გასაჯაროების მიმართულებით არსებულ ხარვეზებთან.

აუდიტის შედეგად აღმოჩნდა, რომ წინა აუდიტით გათვალისწინებული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია, თუმცა კვლავ არსებობს სხვადასხვა ნაკლოვანება, რომელთა აღმოფხვრის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობა, კერძოდ:

- რისკის შეფასების შედეგად და რისკის მმართველებთან კონსულტაციის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები სურსათის უვნებლობის კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების მართვის შესახებ გადაწყვეტილება დამოკიდებულია რისკის შეფასების შედეგებზე. შესაბამისად, მთლიანი პროცესის სტრუქტურიზებულად წარმართვა და ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის სათანადო კომუნიკაცია გავლენას ახდენს პროექტის ინიცირების პროცესზე, რისკის შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებაზე.

აუდიტის შედეგად, რისკის შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებით გამოვლინდა რეგულირების ხარვეზები:

- ნათლად არ არის განსაზღვრული შესაფასებელი საფრთხის ინიცირების ყველა შესაძლო ავტორი და ინიცირების თითოეულ შესაძლო პროცესში ეტაპობრივად განსახორციელებელი ქმედებები;
- ეროვნული მონაცემების ნაკლებობის გამო, რისკის შეფასების სამსახურის მიერ შემუშავებული ანგარიშები ძირითადად არის არა სრული სქემით რისკის შეფასების, არამედ რისკის შეფასების რომელიმე საფეხურის (მაგალითად, იდენტიფიცირება და დახასიათება) ან აღმოცენებადი რისკების შესწავლის ანგარიშები. არ არის განსაზღვრული ფორმალური პროცედურები, რისკის შეფასების სრული სქემით განუხორციელებლობის შემთხვევაში, რისკის შეფასების რომელი საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომები იქნება გამოყენებული ცენტრის მიერ მომზადებულ ანგარიშებთან დაკავშირებით.
- არ არის ფორმალიზებული რისკის შეფასების ფარგლებში რეკომენდაციების შემუშავების პროცესი და არ არის განსაზღვრული გაცემული რეკომენდაციების შესრულების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული სტრუქტურული ერთეული.



რისკის შეფასების პროცესის ფორმალიზაციისთვის, საჭიროა არსებობდეს ორგანიზაციულ დონეზე შემუშავებული პროცედურები, სადაც დოკუმენტურად და მკაფიოდ იქნება გაწერილი თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები და მხარეთა უფლება-მოვალეობები.

- სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების სათანადო შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე შესაბამისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების არსებობა. ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები:
 - არ არის შემუშავებული მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების, ანუ „ფაქტობრივი კვების“ შესახებ მონაცემები ეროვნულ დონეზე, რაც ხელს უშლის ექსპოზიციის სათანადო შეფასებას;
 - რისკის მმართველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები, ხშირად არ არის თავსებადი რისკის შეფასებისთვის;
 - სურსათით გამოწვეული დაავადებების შემთხვევები არ დასტურდება ლაბორატორიულად და მხოლოდ სავარაუდო მონაცემებია, რაც რისკის შეფასებისთვის გამოსადეგი არ არის.

გემოლნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ – სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მიერ მომზადებული სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკის შეფასების დასკვნები სათანადოდ ვერ ფარავს ექსპოზიციის შეფასებას, რაც ხელს უშლის რისკის დახასიათების საფეხურის ხარისხიანად განხორციელებას. შედეგად, რისკის შეფასების პროცესი ვერ ხორციელდება სრული სქემით.¹

- სურსათის უვნებლობის კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება შესამოწმებელი ობიექტების გეგმის შედგენა და ინსპექტირება-მონიტორინგის პროცესის მართვა. პროგრამა მოიცავს სახელმწიფო კონტროლის ყველა ელემენტს და მისი საშუალებით კონტროლის პროცესი სრულად ელექტრონულია. სურსათის უვნებლობის მიმართულებით სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესების მიზნით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა და დანერგილი ელექტრონული სისტემის მიუხედავად, პროგრამას აქვს გარკვეული ხარვეზები, რომელთა გაუმჯობესების შედეგად შესაძლებელია პროცესის უფრო ეფექტიანად მართვა და გარკვეული რისკების შემცირება.

კერძოდ, ელექტრონული სისტემის შესახებ საკმარისი ინფორმაციის პირობებში, შემცირდებოდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მართვის ელექტრონული პროგრამის შესახებ ინსტიტუციური ცოდნის დაკარგვის რისკი, რომელიც დაკავშირებული იქნება სისტემის ფუნქციონირების, გაუმჯობესებისა და მოვლა-შენახვის შესაძლებლობის შეზღუდვასთან. ასევე სისტემაში არსებული საკმარისი კონტროლის მექანიზმები მონაცემთა დამუშავების სიზუსტისა და სანდოობის რისკებს შეამცირებდა, ხოლო ლოგირების სისტემის პირობებში განხორციელებული ქმედებები მიკვლევას უზრუნველყოფდა.

¹ არსებული კანონმდებლობით („რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის N442 დადგენილება) და საერთაშორისო სტანდარტებით (codex alimentarius) განსაზღვრული რისკის შეფასების ოთხი საფეხური.



- აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ 2019-2020 წლებში სააგენტოს მიერ ნიმუშების აღების შედეგად სურსათში აღმოჩენილი სავალდებულო გასაჭაროებას დაქვემდებარებული 936 შემთხვევიდან, ინფორმაცია გამოქვეყნებულია შეუსაბამობის 288 ფაქტის შესახებ (31%), რომლებიც სრულად არ მოიცავს პროდუქტის იდენტიფიცირებისა და მიკვლევისთვის საჭირო ინფორმაციას. ასევე, რიგ შემთხვევებში, ეს ინფორმაციები არ გასაჭაროვდა დროულად. ქვეყანაში სურსათის უვნებლობის კონტროლის მიმართ მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების სანდოობის ზრდას ხელს შეუწყობდა ინფორმაციის გასაჭაროების შესახებ სტანდარტული ოპერაციული პროცედურების არსებობა, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი დარღვევების გასაჭაროების კრიტერიუმები, ვადები, საზოგადოების გაფრთხილების მიზნით გამოქვეყნებულ განაცხადებში არსებული მონაცემები და სხვ.; უზრუნველყოფდა მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების სანდოობის ზრდას, სტანდარტიზებულ და დასაბუთებულ მიდგომას სურსათში აღმოჩენილი დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე მომხმარებლის ინფორმირების გადანაცვტილებასთან დაკავშირებით და შეამცირებდა მავნე პროდუქტის მოხმარების რისკებს.

ბაგოვქანიც ნაკლოვანებაზე ბაიხა ჟამეაბი ნაკომახაშიაბი:

ნაკომახაშია N 1

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

- სისტემური, სრული, შესაბამისი და მეტად გამჭვირვალე სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკის ანალიზის პროცესის განხორციელების მიზნით საჭიროა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლობით, შემუშავდეს სტანდარტული საოპერაციო პროცედურები ან/და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ განისაზღვროს სურსათის უვნებლობის სფეროში, რისკის ანალიზის პროცესში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები და თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები.

ნაკომახაშია N 2

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- პრიორიტეტული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების სრული სქემით შეფასების სათანადო წინაპირობების შესაქმნელად, სამინისტრომ უზრუნველყოს ეროვნულ დონეზე მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების – „ფაქტობრივი კვების“ კვლევის ორგანიზება და გადადგას ქმედითი ნაბიჯები აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად.



ჩაკომენდაცია N 3

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

- სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად შეიმუშაოს მონიტორინგის განხორციელების ისეთი მიდგომები, რომლებიც სურსათის ნიმუშის აღებისას და მასში საფრთხის შესწავლისას რისკის მმართველის მიერ შემუშავებულ მონაცემებს გახდის რისკის შემფასებლისთვის მეტად გამოსადეგს.

ჩაკომენდაცია N 4

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ელექტრონული პროგრამის მომავალში უწყვეტად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს როგორც პროგრამული კოდის შესახებ დოკუმენტური ჩანაწერი, ასევე პროგრამის გამოყენების მეთოდოლოგია.

ჩაკომენდაცია N 5

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანად და ობიექტურად მართვის მიზნით, სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გააუმჯობესოს ელექტრონული პროგრამის კონტროლის მექანიზმები, რაც გულისხმობს პროგრამაში ლოგირების სისტემის დამატებასა და სისტემაზე წვდომის უფლებების დოკუმენტურად განსაზღვრას.

ჩაკომენდაცია N 6

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

- მავნე სურსათის შესახებ მოსახლეობის სრულად და დროულად ინფორმირების უზრუნველსაყოფად, სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს დეტალური მეთოდოლოგია ან/და სტანდარტიზებული ოპერაციული პროცედურები, სადაც განისაზღვრება დარღვევის გასაჯაროების კრიტერიუმები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად განიხილოს სურსათის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭების საკითხი.



შესავალი

1.1 აუდიტის მოტივაცია


სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2015 წელს ჩაატარა სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.

სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია.

მაგნე საკვები შესაძლოა შეიცავდეს ვირუსებს, პარაზიტებს, ქიმიურ ნივთიერებებს ან მავნე ბაქტერიებს, რომლებიც იწვევენ 200-ზე მეტ დაავადებას.²

სსიპ – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით სავარაუდო საკვებისმიერი ინტოქსიკაციის შემთხვევები ყოველწლიურად მზარდია.

გრაფიკი N1. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული, სავარაუდო³ საკვებისმიერი ინტოქსიკაციის დინამიკა – 2010-2020 წლები (2012-2014 წლები არის წინა აუდიტის პერიოდი)



აღსანიშნავია, რომ დაფიქსირებულ შემთხვევათა რაოდენობის მკვეთრი ზრდის მიზეზი შესაძლოა იყოს 2012 წელს დაავადებათა აღრიცხვის მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებები, ასევე – სამკურნალო დაწესებულებებში მიმართვიანობის ზრდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდგომ.

2 <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/food-safety>

3 აღსანიშნავია, რომ გრაფიკზე ნაჩვენებია საკვებისმიერი ინტოქსიკაციების მონაცემები არის სავარაუდო შემთხვევები, რადგან NCDC ვერ აღგენს ინტოქსიკაციის ზუსტ გამომწვევ ფაქტორს.



წინასწარი შესწავლის ეტაპზე მიღებული ინფორმაციით, აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სახელმწიფომ დაიწყო მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება, თუმცა სურსათის უვნებლობის ეფექტიანი მართვის მიმართულებით, მაინც არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განხორციელოს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი, სადაც შესწავლილი იქნება წინა აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსები და, ამასთანავე, სურსათის უვნებლობის მიმართულებით არსებული სხვა გამოწვევები.

1.2 აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია შეისწავლოს 2015 წელს ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა იმ ახალი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც განხორციელდა სურსათის უვნებლობის მიმართულებით და შეაფასოს, რამდენად გაუმჯობესდა სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემა აღნიშნულ პერიოდში.

აუდიტის მთავარი კითხვა შემდეგია:

რამდენად ეფექტიანია სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები?

მთავარ კითხვასთან მიმართებით ჩამოყალიბდა შემდეგი ქვეკითხვები:

- რამდენად ეფექტიანია საზღვარზე სურსათის უვნებლობის კონტროლი?
- რამდენად ეფექტიანია სურსათისმიერი რისკის ანალიზის პროცედურები?
- რამდენად ეფექტიანია სურსათის უვნებლობის კონტროლის მექანიზმები?
- რამდენად კოორდინირებულია კომუნიკაცია მომხმარებელთან?

1.3 შუალედური კითხვები

სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის პროცესში კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი ნორმატიული აქტები:

კანონი

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.

დებულება

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის N442 დადგენილება „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“;



- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილება „სურსათის/ცხოველ-ლის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება „ცხოველური წარმო-შობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის N533 დადგენილება „სურსათის/ცხო-ველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N585 დადგენილება „საკვებდანამა-ტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N118 დადგენილება „ტექნიკური რეგ-ლამენტის – საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N463 დადგენილება „ფიტოსანიტა-რიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო საკარანტინო კონტრო-ლის განხორციელების წესი“.
- „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კო-ნტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბ-რის N567 დადგენილება.

ბრძანება

- სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება „ვეტერინარული კონტროლის მონი-ტორინგის გეგმის დამტკიცების თაობაზე (2015-2020 წწ.)“;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 თებე-რვლის N2-107 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

სსპ

- „კოდექს ალიმენტარიუსი“, მთავრობების მიერ გამოსაყენებელი სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები;
- სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რომლითაც რეგულირდება სურსათის უვნებლობის სახე-ლმწიფო კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი;
- სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და საე-რთაშორისო ორგანიზაციების სახელმძღვანელოები.

აუდიტის პროცესში კრიტერიუმებად განსაზღვრული ნორმატიული აქტების ანალიზით გამო-იკვეთა სურსათის უვნებლობის ეფექტიანი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნები და მათ მი-საღწევად არსებული მექანიზმები. საქართველოს მთავრობის დადგენილება⁴ განსაზღვრავს რისკის ანალიზის პროცესს, მის კომპონენტებს და შესრულებაზე შესაბამის პასუხისმგებელ ორგანიზაციებს (იხ. ცხრილი N1).

4 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის N442 დადგენილება.



ცხრილი N1. რისკის ანალიზის კომპონენტები, შინაარსი და პასუხისმგებელი ორგანიზაციები

რისკის ანალიზის კომპონენტები	კომპონენტების შინაარსი	პასუხისმგებელი ორგანიზაციები
რისკის შეფასება	საფრთხის იდენტიფიცირება; საფრთხის დახასიათება; საფრთხის ზემოქმედება, ანუ ექსპოზიციის შეფასება; რისკის დახასიათება.	სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.
რისკის მართვა	რისკის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, რისკის პრევენციისა და კონტროლის შესაბამისი ზომების/ლონისძიებების შერჩევა და განხორციელება.	სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო და სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი. ^{5,6}
რისკის კომუნიკაცია	რისკის შეფასებისა და მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მიუკერძოებელი ინფორმაციის დროული და შეუფერხებელი გაცვლა რისკის შემფასებლებს, რისკის მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, მომხმარებლებსა და ბიზნესოპერატორებს შორის.	რისკის ანალიზის პროცესში დაკავშირებული მხარეები.

რისკის ანალიზის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მაკონტროლებელ ორგანოს უნდა გააჩნდეს სრული და ოპერატიული ინფორმაცია სურსათის სფეროში არსებული ბიზნესოპერატორების, სასურსათო ბაზარზე არსებული პროდუქტების, მომხმარებელთა ფაქტობრივი კვების, საკვებისმიერი ინტოქსიკაციის შემთხვევების და რისკის შეფასებისთვის საჭირო სხვა მონაცემების შესახებ. სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებმა სურსათის უვნებლობა რისკიანი პროდუქციის ლაბორატორიული შემოწმებითა და სურსათის სანდო ეტიკეტირებით უნდა უზრუნველყოს. ეფექტიანი მონიტორინგის კონტროლის გეგმაში აქცენტი უნდა კეთდებოდეს მიკრობიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ საფრთხეებზე. მათ შორის, ისეთ საფრთხეებზე, რომელთაც გრძელვადიანი კუმულაციური ეფექტი აქვთ ადამიანის ჯანმრთელობაზე.⁵

1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტი მოიცავს 2016 წლიდან აუდიტის ძირითადი პროცედურების დასრულებამდე პერიოდს, ხოლო აუდიტის ობიექტებია:

- სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო;
- სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი.

ცენტრის საქმიანობიდან აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა სურსათის უვნებლობის სფეროში რისკების შეფასება, სააგენტოს საქმიანობიდან – რისკების მართვა⁶ და კომუნიკაცია, ხოლო საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობიდან – იმპორტისათვის განკუთვნილი სურსათის საბაჟო კონტროლი.

5 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი - საქართველოს კანონი, მუხლები: 11, 26¹.

6 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი - მონიტორინგი და ინსპექტირება.



აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა აუდიტორული პროცედურების სხვადასხვა მეთოდი:

- სურსათის უვნებლობის კონტროლის მიზნით განხორციელებული საქმიანობისა და მოქმედი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი;
- მოწოდებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი;
- ინტერვიუები;
- ევროკავშირის დირექტივებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა;
- სხვა ქვეყნებში ჩატარებული აუდიტების ანალიზი და საუკეთესო გამოცდილების შესწავლა;
- სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაანალიზების მიზნით.



2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი წარმოადგენს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

ცენტრში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის მიმართულებით რისკის შეფასების სტრუქტურა შედგება ორი ერთეულისგან: რისკის შეფასების სამეცნიერო ჯგუფისგან და რისკის შეფასების სამსახურისგან, რომელიც 2014 წელს ჩამოყალიბდა „კოდექს ალიმენტარიუსის“, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) და მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) სანიტარიული და ფიტოსანიტარიული რისკების ანალიზის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად.

რისკის შეფასების სამსახურში დასაქმებულია ოთხი შტატიანი და ერთი შტატგარეშე მომუშავე პირი, ხოლო რისკის შეფასების სამეცნიერო ჯგუფს 2021 წლამდე ჰყავდა მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელი და, ცენტრის განმარტებით, „2021 წლის მიმდინარე საქმიანობების ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულია ოთხი მეცნიერ-კონსულტანტი (ნუტრიციოლოგიის, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში).“

რისკის შეფასების სამსახურის ფუნქციებია:

- რისკის შეფასების ორგანიზება, რისკის მმართველებისათვის რეკომენდაციების მომზადება, კონსულტაციებისა და კომუნიკაციების განხორციელება;
- რისკის შეფასებასთან დაკავშირებული, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომი მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის მოძიება და ანალიზი;
- რისკის შეფასების მეთოდოლოგიების მოძიება და დანერგვის ხელშეწყობა;
- რისკის შეფასების ანგარიშის (დასკვნა-რეკომენდაციები) მომზადება;
- ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოსთან (EFSA) ეროვნული საკონტაქტო პირის სტატუსით თანამშრომლობა;
- რისკის შეფასების სფეროში ინსტიტუციური გაძლიერებისა და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ორგანიზებულ პროგრამებში, სემინარებსა და პროექტებში მონაწილეობა;
- რისკის შეფასების პროცესებისა და შედეგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- რისკის მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან თანამშრომლობა.⁷

ცენტრის რისკის შეფასების საქმიანობას არეგულირებს „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება.

ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასების ფარგლებში სამეცნიერო დასკვნას ამზადებს მეცნიერთა ჯგუფი, მოწვეული შესაბამისი დარგის მეცნიერ-ექსპერტების მონაწი-

7 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის N2-51 ბრძანება, მუხლი 6, პუნქტი 14.



ლეობით. რისკის შეფასების სამსახურთან თანამშრომლობით ხორციელდება სამეცნიერო და ტექნიკური მონაცემების საჭიროების მიხედვით მოკვლევა, შეგროვება, აღრიცხვა და ანალიზი. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციებს შეიმუშავებს არა მეცნიერთა ჯგუფი, არამედ რისკის შეფასების სამსახური, მეცნიერთა მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.⁸

სამსახურმა⁹ რისკის შეფასების საქმიანობის ფარგლებში, 2015-2020 წლებში მოამზადა 18 დოკუმენტი, რომელთა ფარგლებშიც გაიკა 94 რეკომენდაცია, მათ შორის, სურსათისმიერ რისკებთან დაკავშირებით – 15 დოკუმენტი და 70 რეკომენდაცია.¹⁰

2.2 სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ფუნქციაა – რისკის შეფასების საფუძველზე რისკის მართვა და რისკის კომუნიკაცია.¹¹

რისკის მართვას სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს რისკების რანჟირების მეთოდზე დაყრდნობით. ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება ხორციელდება რისკის დონის განსაზღვრისათვის შემუშავებული ოთხი კრიტერიუმის ქულების დაჯამებით მიღებული შედეგების მიხედვით. აღნიშნული კრიტერიუმებია: გადამუშავებული სურსათი, საქმიანობის ტიპი, წარმადობა და ბიზნესოპერატორის ისტორია.

სააგენტო ხელმძღვანელობს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული რეგისტრირებულ ბიზნესოპერატორთა ბაზით, სადაც შეყვანილია მათი ისტორია და სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მათი წარმადობის შესახებ.¹²

სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, სააგენტო სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით:

- ინსპექტირება (გეგმური, არაგეგმური გადამოწმება და ბიზნესოპერატორების აღიარება);¹³
- მონიტორინგი (დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშის აღება და ზედამხედველობა).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული წინა აუდიტის დროს, ინსპექტირება და მონიტორინგი იყო სრულიად დამოუკიდებელი საქმიანობები. აქედან გამომდინარე,

8 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის N2-51 ბრძანება, მუხლი 6, პუნქტი 14, „ა“ ქვეპუნქტი.

9 http://srca.gov.ge/about/risk_assessment

10 2015-2018 წლებში სულ - 12 დოკუმენტი და 83 რეკომენდაცია, 2019-2020 წლებში - 6 დოკუმენტი და 9 რეკომენდაცია (მათ შორის, სურსათთან დაკავშირებული რისკების 11 დოკუმენტი და 64 რეკომენდაცია 2015-2018 წლებში, ხოლო 2019-2020 წლებში - 4 დოკუმენტი და 6 რეკომენდაცია).

11 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულება, მუხლი 2, პუნქტი „ე“.

12 ბიზნესოპერატორთა გასული წლის ფინანსური ბრუნვები.

13 რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება.



ინსპექტირების დროს არ იღებდნენ ნიმუშს, რისთვისაც მონიტორინგის თანამშრომელს ცალკე უნევდა მონიტორინგის პროცედურის ჩატარება, რაც ადამიანური და დროის რესურსის არაეკონომიურობას იწვევდა. აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მეტად ეკონომიური და პროდუქტიული იქნებოდა ინსპექტირების პროცესის დროს მონიტორინგის საქმიანობის შეთავსება და ნიმუშის აღება. აღნიშნული მიმართულებები გაერთიანდა და ინსპექტირების დროს, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ნიმუშების აღებაც.

2.3 სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი ეწევა საზღვარზე სურსათის უვნებლობის კონტროლს. აღნიშნული კონტროლი ხორციელდება 13 საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის წესების შესაბამისად,¹⁴ რომლებიც განსაზღვრავენ ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის პროცედურებს.

საზღვარზე კონტროლის პროცედურები მოიცავს:

- დოკუმენტურ შემოწმებას;
- იდენტიფიკაციის შემოწმებას;
- მცენარეთა სიჭანსაღის კონტროლს;
- ფიზიკურ შემოწმებას:
 - ფიზიკური, ქიმიური ტესტირება (გაჭრა, გადნობა და გაცხელება);
 - ორგანოლეპტიკური შემოწმება (სუნი, ფერი, გემო და სიმკვრივე);
 - ტრანსპორტირების პირობების, მათ შორის, ტემპერატურული რეჟიმის შემოწმება;
 - ნიმუშის აღება ლაბორატორიული ანალიზისათვის.

კონტროლის განხორციელების მიზნით, სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით მტკიცდება რისკზე დაფუძნებული ვეტერინარული კონტროლის მონიტორინგის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია:

- გასულ წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები;
- იმპორტისათვის განკუთვნილი საქონლის მწარმოებელსა და წარმოშობის ქვეყანასთან დაკავშირებული გამოვლენილი რისკები;
- სწრაფი განგაშის სისტემის საინფორმაციო ბაზა (RASFF).

მონიტორინგის გეგმის მიხედვით, თითოეულ სასაქონლო კატეგორიაზე განისაზღვრება ნიმუშების აღების პროცენტული სიხშირე და შესამოწმებელი პარამეტრები. გეგმა ინტეგრირებულია სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფს სასაქონლო პარტიებისა და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის შერჩევას.

გარდა გეგმური (ელპროგრამის მიერ შერჩეული) შემოწმებისა, ვეტერინარს/ფიტოსანიტარს,

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N463 დადგენილება „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N567 დადგენილება „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“.

ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ეჭვის საფუძველზე შეუძლია არაგეგმურად შეადგინოს ნიმუშის აღების ოქმი და შესამოწმებლად გააგზავნოს ლაბორატორიაში.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 1 დეკემბრიდან საბაჟო დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატა არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი,¹⁵ რაც მოიცავს მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ნიმუშების აღებას სურსათში არსებულ საფრთხეებზე (აფლატოქსინები, პესტიციდის ნარჩენები, სუდანის საღებავები და სხვ.) და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს იმპორტისათვის განკუთვნილი სურსათის უვნებლობის კონტროლს.

საბაჟო დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, რისკის შემცირებისა და სასაზღვრო კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს ევროკომისიის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების მრავალენოვან ონლაინპლატფორმასთან ადაპტირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დოკუმენტური შემოწმების ეფექტიანობას. აღნიშნული პლატფორმის ძირითადი მიზნებია დააჩქაროს და გაამარტივოს:

1. სერტიფიცირება და მასთან დაკავშირებული პროცესები.
2. სავაჭრო და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის მონაცემების, ინფორმაციისა და დოკუმენტების გაზიარება.¹⁶

2.4 2015 წელს ჩატარებული აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2015 წელს ჩაატარა სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი, რომლის შედეგად გამოვლინდა სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემაში არსებული შემდეგი ნაკლოვანებები:

- საზღვარზე იმპორტირებული სურსათის ნიმუშების აღება მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით არ მიმდინარეობდა;
- საზღვარზე აღებული სურსათის ნიმუშები სრულად არ მოწმდებოდა ყველა იმ პარამეტრზე, რომლებიც მონიტორინგის გეგმით იყო განსაზღვრული;
- სურსათის ეროვნული სააგენტო სრულად არ ფლობდა რისკის დონის განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაციას ყველა ბიზნესოპერატორზე, ხოლო სააგენტოს მიერ ბიზნესოპერატორთა პირველ და მეორე კომპონენტებში რისკის დონის განსაზღვრისათვის გამოყენებული ინფორმაცია არაზუსტი და არასაიმედო იყო;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ ბიზნესოპერატორთა ინსპექტირების პერიოდულობა აუდიტის პერიოდში არ იყო დაცული;
- აუდიტის ჯგუფმა სააგენტოს მიერ აუდიტის პერიოდში ჩატარებული ინსპექტირებების ანალიზით დაადგინა, რომ დაბალი იყო ინსპექტირების პროდუქტიულობა ინსპექტირებების განხორციელების პროცესში;
- აუდიტის პერიოდში სურსათის დეპარტამენტში რისკის შეფასების პროცესი არ ხორციელ-

15 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N567 დადგენილება „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“.

16 ონლაინპლატფორმა TRACES - https://ec.europa.eu/food/animals/traces_en



- ღდებოდა, რითაც დაირღვა ბრძანებით დადგენილი რისკის შეფასების პროცედურები;
- მონიტორინგის ფარგლებში ობიექტების შემოწმება ვერ უზრუნველყოფდა რაიონების მიხედვით რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების რაოდენობის პროპორციულ მოცვას;
- სააგენტოში „ცხელი ხაზი“ მხოლოდ სამუშაო დღეებში მოქმედებდა. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პერიოდშიც შეუძლებელი იყო მითითებულ საკონტაქტო ნომერზე დაკავშირება.

სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 9 რეკომენდაცია, რომელთა უმრავლესობა შესრულებულია:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ პერიოდულად უნდა განხორციელდეს გეგმის შესრულების მონიტორინგი, ჩათვალი საზღვარეულო შემოსული საქონელი შემოწმდეს გეგმით განსაზღვრული სიხშირით (შესრულებულია).

აუდიტორული პროცედურების შედეგად დადგინდა, რომ აუდიტის პერიოდში (2016 – 2020 წწ.) ხორციელდებოდა მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული რაოდენობის ნიმუშების აღება. მონიტორინგის გეგმით ასაღები ნიმუშების სიხშირე შედარდა საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ფაქტობრივ მონაცემებთან.¹⁷ შესამოწმებელი პროდუქტების კატეგორიების სიხშირესა და აღებული ნიმუშების რაოდენობას შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობა არ გამოვლენილა (იხ. დანართი N1), შესაბამისად, რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინა აუდიტის შემდეგ (2017 წლის 1 დეკემბრიდან) ქვეყანაში დაიწყო არაცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის პროცედურები. აქედან გამომდინარე, დამატებით შევისწავლეთ აღნიშნული კატეგორიის მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული სიხშირის შესრულების მაჩვენებლები. საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ფაქტობრივ მონაცემებსა და აღებული ნიმუშების რაოდენობას შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

ასევე აუდიტორული პროცედურების საფუძველზე დადგინდა, რომ ელექტრონული პროგრამის მიერ შერჩეული ლაბორატორიულად შესამოწმებელი სასაქონლო პარტიის ან პარამეტრის ცვლილება მანუალურად, ფიტოსანიტარიის/ვეტერინარიის მხრიდან ტექნიკურად არ არის შესაძლებელი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული სიხშირისა და ფაქტობრივად აღებული ნიმუშების შეუსაბამობის რისკს.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ სურსათის უვნებლობის საბაჟო კონტროლის დროს უნდა მოხდეს ნიმუშების შემოწმება ჩისკის ანალიზით განსაზღვრულ ყველა პარამეტრზე (შესრულებულია ნაწილობრივ).

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების სტატუსის შესამოწმებლად, აუდიტორული პროცედურებით შერჩეული კონტროლს დაქვემდებარებული სასაქონლო პარტიების ლაბორატორიული ოქმების მონაცემები შედარდა მონიტორინგის გეგმაში განსაზღვრულ შესამოწმებელ პარამეტრებთან. შედეგად დადგინდა, რომ აუდიტის პერიოდში (2016-2020 წწ.) ნიმუშები შე-

17 ელექტრონული პროგრამიდან მოწოდებული 2016–2020 წლებში იმპორტირებული სურსათის და, მათ შორის, შესამოწმებლად შერჩეული სასაქონლო პარტიების ბაზა.



მონმებულია მონიტორინგის გეგმით განსაზღვრულ ყველა პარამეტრზე (იხ. დანართი N2). შესაბამისად, რეკომენდაცია ამ ნაწილში ჩაითვალა შესრულებულად.

არაცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებების¹⁸ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სურსათი/ცხოველის საკვები დაექვემდებარა ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღებას, მაგრამ საქართველოში არ არსებობს ამ დადგენილებით განსაზღვრულ სურსათში/ცხოველის საკვებში „არსებული საფრთხის“ გამოკვლევის განხორციელებაზე აკრედიტებული ლაბორატორია, სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუში ამ საფრთხის გამოკვლევისთვის ლაბორატორიაში არ გაიგზავნება.¹⁹

3. სააგენტო უზრუნველყოს ბიზნესოპერატორთა უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული ბაზების დროულ დაზუსტება და ბაზაში არსებული ყველა ბიზნესოპერატორისათვის რისკის დონის განსაზღვრის პროცედურის განხორციელება (უზრუნველყოს ნაწილობრივ).

„მენარმეთა შესახებ“ და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონების მიხედვით, 2016 წლის სექტემბრიდან შეიქმნა ეკონომიკური საქმიანობის რეესტრი, რითაც ბიზნესოპერატორს გაუჩნდა ვალდებულება საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ასახოს ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში. სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების შესახებ ინფორმაცია სააგენტოს მიენოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, MS Excel-ის ფორმატით, ხოლო აღნიშნულ ბაზებს სააგენტო აზუსტებს ბიზნესოპერატორის მიერ მითითებული სატელეფონო კომუნიკაციით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე ინფორმაცია ზუსტდება ე.წ. „კარდაკარის“ პრინციპით, ფაქტობრივ მისამართზე გადამოწმებით და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების დროს. საჯარო რეესტრიდან სააგენტომ ბიზნესოპერატორთა ბაზა ბოლოს 2019 წლის 1 თებერვალს გამოითხოვა.

მიუხედავად პროგრესისა, აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია და ბიზნესოპერატორთა ბაზების მართვის საკითხი საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. სააგენტოსთვის მიწოდებული სიის მიხედვით, ბიზნესოპერატორების რაოდენობა შეადგენდა 55,642-ს, საიდანაც, 2020 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით, მოქმედი სტატუსი აქვს 45,615-ს. დანარჩენმა 10,027-მა ობიექტმა შეწყვიტა ოპერირება ან შეიცვალა საქმიანობის შინაარსი.

სააგენტოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მიღებული მონაცემების გარკვეული ნაწილი არაზუსტი იყო, ვინაიდან რეგისტრაციისას ბიზნესოპერატორს შეუძლია მიუთითოს როგორც მიმდინარე, ასევე სავარაუდო სამომავლო საქმიანობა. ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში მსგავსი ბიზნესოპერატორი მრავლად გვხვდება, რის გამოც სახელმწიფო კონტროლის განხორციელების დროს საჭიროა მონაცემების დაზუსტება და შესაბამისი ბაზის განახლება.

18 „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N567 დადგენილება, მუხლი 5, პუნქტი 8¹.

19 აღნიშნული მიზეზით, დადგენილებაში განსაზღვრული საფრთხეებიდან ვერ ხორციელდება შემდეგი პარამეტრების კვლევები: სუდანის საღებავები, როდამინ B, ნოროვირუსი, სულფიტები, ოხრატოქსინ A, ხოლო პესტიციდის ნარჩენებიდან მონმდება მხოლოდ ჰექსაქლორციკლოპექსანი, დდტ და მისი მეტაბოლიტები.



აღნიშნული პრობლემის გადაჭრას ხელს შეუწყობს სააგენტოსა და საჯარო რეესტრს შორის კომუნიკაციის და ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაუმჯობესება, კერძოდ, განახლებული მონაცემების გაზიარების სიხშირის ზრდა, რათა სააგენტო დროულად ფლობდეს ინფორმაციას გაუქმებული ან ახალი დარეგისტრირებული ბიზნესოპერატორის შესახებ.

4. სააგენტოს მიერ მოხდეს შუასაბაზო ბიზნესოპერატორების ინსპექტირების შესაბამისი სიხშირების განსაზღვრა ინსპექტირების არსებული ჩასურსათის გათვალისწინებით (შესრულებულია ნაწილობრივ).

წინა აუდიტის პერიოდში, საქართველოში ბიზნესოპერატორთა ინსპექტირების სიხშირე რეგულირდებოდა დადგენილებით,²⁰ რომლის მიხედვით მაღალი რისკის ობიექტები ინსპექტირებას ექვემდებარებოდა წელიწადში ერთხელ, ხოლო ყველა დანარჩენი – ორ წელიწადში ერთხელ, რაც ნიშნავდა, რომ ორწლიან პერიოდში კონტროლი უნდა განხორციელებულიყო ბაზარზე არსებულ ყველა ბიზნესოპერატორზე.

აუდიტორული პროცედურების შედეგად დადგინდა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტოს რესურსები არ იძლეოდა დადგენილებით გათვალისწინებული სიხშირის დაცვის შესაძლებლობას და ვერ ასრულებდნენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, დადგენილებაში შევიდა ცვლილება და აღნიშნული პუნქტი გაუქმებულია.

სააგენტოს სურსათის უვნებლობის ყოველწლიური კონტროლის პროგრამის²¹ მიხედვით, ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება ხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის შედეგად მინიჭებული ქულების შესაბამისად, ქულების კლებადობის მიხედვით.

სიხშირეები განსაზღვრულია მხოლოდ შემდეგ კატეგორიებთან მიმართებით:

- აგრარული ბაზრების, საბავშვო ბაღების კვების ბლოკების, თხილისა და დაფნის ექსპორტიორების, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტიორების, გეგმური ინსპექტირება უნდა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ;
- იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ცხოველის დაკვლას, გეგმური ინსპექტირება უნდა განხორციელდეს წელიწადში ოთხჯერ;
- იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, გეგმური ინსპექტირება უნდა განხორციელდეს წელიწადში ორჯერ.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობაში ბიზნესოპერატორების კატეგორიების მიხედვით შემოწმების სიხშირეები აღარ არის განსაზღვრული, თუმცა შეუმოწმებლად დარჩენილი ობიექტების პრობლემა კვლავ აქტუალურია. სააგენტოს მიერ ელექტრონული პროგრამის საშუალებით კონტროლის წლიური გეგმის შედგენის პროცესის დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში მაღალრისკიანი ბიზნესოპერატორების შემოწმება ხორციელდება სრულად, საშუალორისკიანების – ნაწილობრივ, ხოლო დაბალრისკიანების შემოწმება ფაქტობრივად არ ხორციელდება.

20 „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილება.

21[<http://nfa.gov.ge/Ge/FoodSafetyStatePrograms>



გამომდინარე იქიდან, რომ სიხშირეები არ არის განსაზღვრული ყველა კატეგორიისთვის და გვერდური ინსპექტირება ხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის შედეგად მინიჭებული ქულების კლესადობის მიხედვით (ჯერ მაღალრისკიანები, შემდეგ – საშუალორისკიანები და დაბალრისკიანები), არსებობს რისკი, რომ გარკვეული ობიექტები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუმონმბელი დარჩეს.

იმისათვის, რომ აღნიშნული რისკი მინიმუმამდე შემცირდეს, კარგი პრაქტიკის მიხედვით, საჭიროა გონივრული სიხშირეების დადგენა და დროის გარკვეულ პერიოდში რისკის სამივე (მაღალი, საშუალო, დაბალი) კატეგორიის დაფარვა სახელმწიფო კონტროლით, რაც სააგენტოს რესურსების (როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური) სიმცირიდან გამომდინარე შეზღუდულია.

5. სააგენტო იმსჯელოს ერთი ინსპექციონის მიერ წლის განმავლობაში ჩასატარებელი გეგმიური ინსპექციების მაჩვენებლის გაზრდის შესაძლებლობაზე და შესაბამისად მოხდეს ინსპექტირების ჯგუფების ოპტიმალური ჩაოქნოების ინსპექციონებით დაკომპლექტება (შესაძლებელია)

წინა აუდიტის შედეგად გამოვლინდა ინსპექტირების პროცესში პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებელი. პროდუქტიულობის საშუალო მაჩვენებელმა 2 კაც./დღე შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ ერთი ობიექტის ინსპექტირებასა და ტრანსპორტირებაზე (ობიექტზე მისვლის და უკან დაბრუნების დრო) საშუალოდ 2 ინსპექტორის ერთი სამუშაო დღე იხარჯებოდა. ჩატარებული ანალიზის შედეგად, აუდიტის ჯგუფის მიერ განისაზღვრა, რომ საშუალოდ ერთ ინსპექტირებაზე დახარჯული რესურსი კონსერვატიული გაანგარიშებებით, შესაძლოა შემცირებულიყო 1 კაც./დღემდე. შესაბამისად, შესაძლებელი იყო პროდუქტიულობის 100%-ით ზრდა.

წინა აუდიტის დასრულების შემდეგ მონიტორინგის და ინსპექტირების პროცესები გარკვეულწილად გაერთიანდა, რის შედეგადაც ინსპექტირების დროს ასევე შესაძლებელი გახდა ნიმუშების აღება. აღნიშნული ცვლილება შეიძლება მივიჩნიოთ პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად, რომლის საშუალო მაჩვენებელმაც 2019 წელს – 0.8, ხოლო 2020 წელს – 1 კაცდღე შეადგინა.²² შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.

ცხრილი N2. ჩატარებული ინსპექტირების რაოდენობა და პროდუქტიულობის მაჩვენებლები

წელი	ინსპექტორი ²²	ჩატარებული სახ. კონტროლი	ჯამური კაცდღეები	კაცდღე ერთ ინსპექტირებაზე
2019	126	27,323	20,717	0.8
2020	142	21,113	21,550	1.0

6. სააგენტო მონიტორინგი განახორციელოს ჩისკზე დაუქმნავალი მიღმოქმით (შესაძლებელია ნაწილობრივ).

სსიპ – სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შეიქმნა რისკის შეფასების სამსახური, რომელიც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში ახორციელებს რისკის შეფასებას და რისკების მართვის მიზნით, გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. დეტალურად რისკის შეფასებასთან დაკავშირებით იხ. ქვეთავები: N3.1 და N3.2.

22 პროდუქტიულობა დათვლილია ჯამურად მონიტორინგისა და ინსპექტირებისათვის.



7. სააგენტოში შეიძლება მოხდეს შესაბამისი ბიზნესპროექტების შედგენის, მოხდეს რაიონების პროგრესული მოხდა (შესაძლებელია)


გაცემული რეკომენდაციის საპასუხოდ, 2016 წლიდან სააგენტოში მიმდინარეობს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფების დაკომპლექტება ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით და აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაცია შესაძლოა ჩაითვალოს შესრულებულად. კერძოდ, სააგენტოში არსებული ტერიტორიული ორგანოებია – თბილისის საქალაქო სამსახური და 12 რეგიონული სამმართველო. ყველა ტერიტორიულ ორგანოში, ბიზნესოპერატორთა და მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, დასაქმებულია სხვადასხვა რაოდენობის სურსათის ინსპექტორი. თბილისის მასშტაბით ჯგუფები დაკომპლექტებულია რაიონულ პრინციპზე დაყრდნობით და ყველა რაიონზე მიმაგრებულია ორი ინსპექტორი. ასევე რეგიონებში შესამოწმებელი ბიზნესოპერატორების რაოდენობა განსაზღვრავს პასუხისმგებელი ინსპექტორების რაოდენობას. შესაბამისად, ინსპექტორების რაიონების მიხედვით გადანაწილება, შესამოწმებელი ობიექტების პროპორციული მოცვის მექანიზმია.

8. სააგენტოში უზრუნველყოფა სხვა სახის შეზღუდვად უზრუნველყოფა და მიღება ინფორმაცია სწრაფი რეაგირება (შესაძლებელია).

9. სააგენტოში უზრუნველყოფა მომხმარებლის ინფორმირებასა სააგენტოში სხვა სახის ინფორმაციის შესახებ. ჩაატაროს სანაქრო კამპანია სასურსათო პროდუქტებში დაზღვევის აღმოჩენის შემთხვევაში და უნდა მოიმუშაოს მომხმარებელმა, ვის უნდა დაუკავშირდეს და რა სახის ინფორმაცია უნდა მიიწოდოს (შესაძლებელია).

წინა აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სააგენტოს ცხელი ხაზი უწყვეტ რეჟიმში არ ფუნქციონირებდა. ცხელ ხაზზე დარეკვით გადამოწმდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. ამასთანავე, ცხელი ხაზის ფუნქციონირების ერთ-ერთი ინდიკატორი შემოსული შეტყობინებების სტატისტიკაა. აღსანიშნავია, რომ აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია და გაზრდილია მომხმარებლების მიერ სააგენტოსთვის მიმართვიანობა, რაც სააგენტოში შესული შეტყობინებების სტატისტიკაზეც აისახა.

გრაფიკი N2. 2014–2020 წლებში სააგენტოში შესული შეტყობინებები²³



²³ აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მონაცემი არის ოქტომბრის მდგომარეობით. ამასთანავე, მაჩვენებლის კლება შესაძლოა გამოწვეული იყოს ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური (კოვიდ-19 პანდემია) ვითარებიდან გამომდინარე.


რაც შეეხება ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიას, სააგენტო ხელმძღვანელობს 2019-2020 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიით. ცნობადობის და ცნობიერების ამაღლების მიზნით, სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიას, რომლის მიხედვით დგება საკომუნიკაციო სტრატეგია და საინფორმაციო არხები.

საინფორმაციო კამპანიები ტარდება მომხმარებლის, ფერმერების და ბიზნესოპერატორების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმი: ინფორმაციის გავრცელება ელექტრონული და ბეჭდური მედით, სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით, რეგიონული მაუწყებლების აქტიური ჩართულობით; საინფორმაციო მასალების, ბუკლეტების, ბროშურების, ფლაერების გავრცელებით; სამიზნე აუდიტორიასთან, ბიზნესსექტორთან უშუალო კომუნიკაციით და შეხვედრებით; ვებგვერდის და სოციალური მედიის გამოყენებით, მაგალითად:

- 2017 წელს სააგენტომ ჩაატარა საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც ცხელი ხაზის ნომერი 2017 წელს გადახდის ქვითრებზე²⁴ განთავსდა;²⁵
- საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ქვეყნის მასშტაბით ეტიკეტირების ახალ წესთან დაკავშირებით, რაზეც ჩატარდა საინფორმაციო კამპანია „იცოდე რას ყიდულობ“.²⁶

სურსათის ეროვნული სააგენტო საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით,²⁷ პერიოდულად ახორციელებდა სოციოლოგიურ კვლევებს. ასეთი კვლევები ჩატარდა 2013, 2016 და 2018 წლებში. ყველა ინტერვიუ ტარდებოდა ინდივიდუალურად, პირისპირ გამოკითხვის მეთოდით. გამოკითხვაში სულ მონაწილეობა მიიღო 1,108 პირმა.

გრაფიკი N3. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები



ამასთანავე, მომხმარებელთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ჩატარებული კამპანიების დადებითი შედეგის ერთ-ერთი მაჩვენებელი სააგენტოს ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების მზარდი დინამიკაა (იხ. გრაფიკი N2).

24 „ფუდმარტის“, „იოლის“, „სპარის“ და „ორი ნაბიჯის“ სავაჭრო ობიექტებში გადახდის ქვითრის უკანა მხარეს მიეთითა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი: 15 01.

25 <https://www.facebook.com/media/set/?vanity=National.Food.Agency&set=a.1297340436968515>

26 <https://www.facebook.com/dgiskodi/videos/250886632294641> <https://fortuna.ge/fortuna/post/icode-ras-yidulob-etiketze-dasatani-informaciis-chamonatvali-izrdeba>

27 CIB პროგრამის მხარდაჭერით.



3. აუდიტის მიზნები

3.1 რისკის შეფასების პროცესის ჩაბუღების საჩუქები

საქართველოს კანონი,²⁸ მთავრობის დადგენილება²⁹ და „კოდექს ალიმენტარიუსი“³⁰ განსაზღვრავს სურსათის და ცხოველის საკვების უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის ანალიზის ძირითად პრინციპებს:

- რისკის შეფასება რისკის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ. რისკის შეფასების ორგანომ³¹ უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი სამეცნიერო დასკვნის ჩამოყალიბება.³²

- რისკის ანალიზი უნდა განხორციელდეს სამივე კომპონენტის: რისკის შეფასების, რისკის მართვის და რისკის კომუნიკაციის მიხედვით თანმიმდევრულად და მიღებული შედეგები უნდა იყოს გამჭვირვალე, დოკუმენტირებული, პერიოდულად განახლებადი და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.³³

- რისკის შეფასებისათვის ცენტრი უფლებამოსილია, შექმნას მეცნიერთა ჯგუფი ან შეარჩიოს შესაბამისი პროფილის იურიდიული პირი, რომლებიც სამეცნიერო დასკვნას მოამზადებენ დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ. მეცნიერთა ჯგუფის წევრები და შესაბამისი პროფილის იურიდიული პირები უნდა შეირჩნენ გამჭვირვალედ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არ უნდა გააჩნდეთ ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს რისკის შეფასებაზე.³⁴

ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭოს მიერ შემუშავებულია რეგულაცია,³⁵ რომელიც ადგენს სურსათის კანონის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, ასევე პროცედურებს სურსათის უვნებლობის კუთხით. აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, რისკის კომუნიკაცია ნიშნავს რისკის ანალიზის პროცესში ინფორმაციისა და მოსაზრებების ინტერაქტიულ გაცვლას შემდეგ მხარეებს შორის:

28 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი - საქართველოს კანონი, მუხლი 3.

29 „რისკის ანალიზის ფარგლებში, რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება.

30 „კოდექს ალიმენტარიუსი“, მთავრობების მიერ გამოსაყენებელი სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები - <http://www.fao.org/3/a-a1550t.pdf>

31 სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

32 „რისკის ანალიზის ფარგლებში, რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 4, პუნქტები: 2, 3.

33 „რისკის ანალიზის ფარგლებში, რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 1, პუნქტი 3.

34 „რისკის ანალიზის ფარგლებში, რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 5.

35 2002 წლის 28 იანვრის No 178/2002 რეგულაცია. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002R0178&from=EN>



- რისკის შემფასებლები;
- რისკის მმართველები;
- მომხმარებლები;
- სასურსათო ბიზნესი;
- აკადემიური საზოგადოება;
- სხვა დაინტერესებული მხარეები.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტში³⁶ აღნიშნულია, რომ რისკის შეფასება უნდა იყოს ინტერაქტიული და განმეორებადი პროცესი. ასევე კომუნიკაცია უზრუნველყოფს იმას, რომ რისკის შემფასებლებსა და რისკის მმართველებს ერთნაირად ესმოდეთ რისკის შეფასების მიზანი და მასშტაბი, სურსათის უვნებლობის პრობლემის კონტექსტი, რისკის პროფილი და კონკრეტული კითხვები, რომელსაც რისკის შეფასებამ უნდა გასცეს პასუხი.

დოკუმენტში ასევე ყურადღება მახვილდება რისკის კომუნიკაციის ნაწილში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მნიშვნელობაზე რისკის ანალიზის პროცესის შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით. რისკის, მისი შეფასების შედეგების და მართვის ვერსიების შესახებ ინფორმაციის და მოსაზრებების გაზიარება ზრდის გამჭვირვალობას. დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განხორციელებული რისკის შეფასების შედეგები ნაკლებ წინააღმდეგობას ხვდება. დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც რისკის შეფასების გეგმის განხილვისა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება აქვთ, უფრო მეტად იღებენ და იზიარებენ შედეგებს, ვიდრე პირები, რომლებიც არ არიან აღნიშნულ პროცესში ჩართულნი.

რისკის კომუნიკაცია ავტომატურად არ წარმოებს მისი შეფასების და მართვის დროს. კომუნიკაცია ეფექტიანი შედეგების უზრუნველსაყოფად უნდა იყოს კარგად დაგეგმილი, განხორციელებული და მართული. პასუხისმგებლობები და მიზნები თავიდანვე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. უნდა შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს რისკის ანალიზის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მუდმივ მონაწილეობას, მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

რისკის ანალიზის პროცესის ეფექტიანად მართვის მიზნით, ევროპის სურსათის უვნებლობის უმაღლესი ორგანოს მიერ შემუშავებულია სტანდარტული საოპერაციო პროცედურები,³⁷ რომლებიც დანერგვის შემთხვევაში შესასრულებლად სავალდებულოა. აღნიშნული ინსტრუქციები განსაზღვრავს იმ ოპერაციულ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული ორგანიზაციულ პროცესებთან ან პოლიტიკასთან მიმართებით.

EFSA-ს მიერ დეტალურად არის გაწერილი პროცედურები შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მითითებით, ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა: შესაფასებელი რისკის მოთხოვნის მიღება; სამეცნიერო ჯგუფებისთვის გარე ექსპერტების შერჩევა, შეფასება და დანიშვნა; ურთიერთდაკავშირებული და სექტორული სახელმძღვანელო დოკუმენტების განხილვა და გადახედვა; შეხვედრების მართვა; სამეცნიერო სამუშაო ჯგუფის შექმნა, განახლება და დახურვა; სამეცნიერო რისკის შეფასების პროცესი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; მონაცემთა შეგროვება და ა.შ.

36 Food Safety Risk Analysis, an overview and framework manual.

37 <https://www.efsa.europa.eu/en/corporate/pub/sops>



სამართლებრივი აქტებით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებს შორის სურსათთან დაკავშირებული რისკების ანალიზის პროცესში.

ამ მიმართულებით ცენტრის რისკის შეფასების სამსახურს დებულებით განსაზღვრული აქვს შემდეგი ფუნქციები:

- რისკის შეფასების ორგანიზება, რისკის მმართველებისათვის რეკომენდაციების მომზადება, კონსულტაციებისა და კომუნიკაციის განხორციელება;
- რისკის შეფასების პროცესებისა და შედეგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- რისკის მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან თანამშრომლობა.

რისკის ანალიზის პროცესში, სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ერთ-ერთი დაინტერესებული მხარეა. კანონმდებლობით,³⁸ აკადემია არის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი და მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში. აკადემიის ფუნქციაა აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშების და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხილვა და შეფასება, რომლის შედეგებსაც აცნობებს ამავე ორგანიზაციებს, ხოლო სათანადო რეკომენდაციებს – დაინტერესებულ სამთავრობო უწყებებს. აღსანიშნავია, რომ არ არის ნათლად განსაზღვრული, რას გულისხმობს აკადემიის მხრიდან კოორდინაცია.

ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, რისკის შეფასების სამსახურის სექციაში³⁹ არ გამოქვეყნებულა 2018 წლის შემდეგ შემუშავებული პროექტები, რის მიზეზადაც აუდიტის ობიექტის მხრიდან ტექნიკური ხარვეზი სახელდება.⁴⁰

რისკის შეფასების ინიციატივის საკითხი

ინიცირების ეტაპი რისკის შეფასების საწყისი წერტილია, ვინაიდან აღნიშნულ ეტაპზე ხდება შესაფასებელი სურსათისმიერი საფრთხეების შერჩევა და შემდგომ ამ საფრთხეების რისკების შეფასება, რისკის მართვის მიზნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი სწორად წარმართვა, რათა რელევანტური და მეტად პრიორიტეტული საფრთხეები გამოვლინდეს.

EFSA-ს სტანდარტული საოპერაციო პროცედურები⁴¹ დეტალურად განსაზღვრავს შესაფასებელი საფრთხის ინიცირების წყაროებს (გარე ინიცირება, შიდა ინიცირება, თვითინიცირება) და თითოეულის შემთხვევაში, პროცესის დეტალურ ნაბიჯებს.

ასევე გასათვალისწინებელია, რისკის შეფასების ინიცირების აშშ-ში არსებული მიდგომაც, რომლის მიხედვით, საფრთხეების იდენტიფიცირებისა და შესაფასებლად შერჩევისთვის დე-

38 2007 წლის 14 დეკემბრის კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“.

39 http://srca.gov.ge/about/risk_assessment

40 ცენტრის ვებგვერდის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამინისტრო.

41 EFSA, სტანდარტული საოპერაციო პროცედურა 001 S - მოთხოვნის მიღება. https://www.efsa.europa.eu/sites/default/files/corporate_publications/files/SOP-001_S.pdf



ტალურად არის განვრცოლი ოთხი საფეხური, თითოეულ საფეხურზე ჩართული მხარეების მითითებით.⁴²

საქართველოში მოქმედი რეგულაციის⁴³ მიხედვით, რისკის შეფასების ინიცირების საკითხთან დაკავშირებით, რისკის მართვის ორგანო ცენტრს მიმართავს პოტენციური საფრთხის განხილვის დაწყების თაობაზე.

2020 წლამდე ფორმალიზებული არ იყო როგორც თემის ინიცირების, ასევე შესაფასებელი საფრთხის შერჩევის პროცესი და ეფუძნებოდა მხოლოდ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრას. რისკის შეფასების ინიცირების ფორმასთან დაკავშირებით დოკუმენტი – „რისკის შეფასების ინიცირების პროცედურები“ ცენტრმა 2019 წლის ბოლოს შეიმუშავა, რაც მოწონებული იყო სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის მიერ.⁴⁴ ცენტრის მოსაზრებით, მსგავსი დოკუმენტის არსებობა მნიშვნელოვანია ინიცირების პროცესის ფორმალიზაციისთვის, თუმცა არსებული პროცედურები საჭიროებს სრულყოფას საერთაშორისოდ აღიარებული რისკის შეფასების ინიცირების მიდგომების შესაბამისად.

აუდიტის პერიოდში, შესაფასებელი საფრთხის შერჩევა ხორციელდებოდა სამსახურის ინიციატივით ან სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, თუმცა აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაფასებელი საფრთხის რისკის მმართველთან კონსულტაციების შედეგად, შერჩევის და დამტკიცების პროცესი დოკუმენტირებულია, ხოლო სხვა შემთხვევებში, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა აღნიშნული კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.⁴⁵

მოქმედ რეგულაციაში კონკრეტულად არ არის მითითებული – მხოლოდ მმართველის მიერ ინიცირებული რისკების შეფასება უნდა ხორციელდებოდეს, თუ შესაძლებელია, აღნიშნული ინიცირებული იყოს ცენტრის ან სხვა დაინტერესებული მხარის მიერ, ასევე როგორც უნდა წარმართოს პროცესი – რა ფორმატით, ვისთან კომუნიკაციის საფუძველზე და სხვ. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დაურეგულირებელია და სათანადოდ არ არის განსაზღვრული ეტაპები, მათთან დაკავშირებული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და მათი როლები.

რისკის შეფასების ანგარიში

„კოდექს ალიმენტარიუსი“ განსაზღვრავს რისკის შეფასების ოთხ საფეხურს: საფრთხის იდენტიფიცირება, საფრთხის დახასიათება, ექსპოზიციის შეფასება და რისკის დახასიათება.⁴⁶

42 FDA, Initiation and Conduct of All “Major” Risk Assessments within a Risk Analysis Framework – <https://www.fda.gov/food/cfsan-risk-safety-assessments/initiation-and-conduct-all-major-risk-assessments-within-risk-analysis-framework>

43 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 6, პუნქტი 4.

44 საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის 12 ივლისის წერილი N7234/4-1/21.

45 მაგალითად, რისკის შეფასების სამსახურის 2019 წლის გეგმის რისკის მმართველებთან განხილვის პროცესი დოკუმენტირებულია, 2020 წლის გეგმის განხილვასთან დაკავშირებით კი დოკუმენტირებული მტკიცებულებები არ მოიპოვება. ცენტრის განმარტებით, კომუნიკაცია შესაძლოა შედგეს ზეპირი ფორმითაც და არ ხორციელდება ყველაფრის დოკუმენტირება.

46 „კოდექს ალიმენტარიუსი“, მთავრობების მიერ გამოსაყენებელი სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები.



FAO-ს მიხედვით,⁴⁷ ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც არ არის საკმარისი მონაცემები), შეიძლება ვერ განხორციელდეს „კოდექს ალიმენტარიუსის“ გაიდლაინების მიხედვით განსაზღვრული რისკის სრული სქემით შეფასება.

საქართველოში მოქმედი რეგულაციის მიხედვით,⁴⁸ რისკის შეფასება არის „რისკის ანალიზის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებს და მოიცავს საფრთხის იდენტიფიცირებას, აღწერა-დახასიათებას, ზემოქმედებას, რისკის დახასიათებასა და სხვ.“

რისკის შეფასების სამსახურის მიერ შემუშავებული ანგარიშები, ეროვნული მონაცემების ნაკლებობის გამო, ძირითადად არის არა რისკის სრული სქემით შეფასების, არამედ რისკის შეფასების რომელიმე საფეხურის (მაგალითად, იდენტიფიცირება და დახასიათება) ან აღმოცენებადი რისკების შესწავლის ანგარიშები.⁴⁹ 2015-2020 წლებში შემუშავებული სურსათისმიერი რისკების შეფასების 15 ანგარიშიდან ექსპოზიციის შეფასება წარმოდგენილია 9 მათგანში.⁵⁰ აღსანიშნავია, რომ შეზღუდული ეროვნული მონაცემებიდან გამომდინარე, მოცემული ექსპოზიციის შეფასებები „სავარაუდოა“.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით,⁵¹ რისკის ანალიზის პროცესში, რომელიც მოიცავს რისკის შეფასებასაც, გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმძღვანელოები, ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც შემუშავებულია EFSA, Codex Alimentarius, WHO, FAO და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

მნიშვნელოვანია, ადგილობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით განისაზღვროს ფორმალური პროცედურები, რისკის შეფასების სრული სქემით განხორციელებლობის შემთხვევაში, რისკის შეფასების რომელი საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომები იქნება გამოყენებული ცენტრის მიერ მომზადებულ ანგარიშებთან დაკავშირებით. კერძოდ, არასაკმარისი ეროვნული მონაცემების ან/და სხვა შეზღუდვების შემთხვევაში, რა ტიპის კვლევის ჩატარება იქნება მიზანშეწონილი, მაგალითად: რისკის რაოდენობრივი ან თვისობრივი შეფასება, რისკის შეფასების რომელიმე საფეხურის ან აღმოცენებადი რისკების შესწავლა და სხვ.

47 Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), Food Safety Risk Analysis PART I An Overview and Framework Manual, N5.3, Page 27.

48 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 2, პუნქტი „გ“.

49 მაგალითად, „სასმელი წყლის მიკრობიოლოგიურ დაბინძურებასთან ასოცირებული სურსათისმიერი ინფექციების აღმოცენების პოტენციური რისკები“, „რისკის შეფასების მიზნებისათვის საქართველოში, ადამიანის და ცხოველების ბრუცელოზის ინფექციებიდან გამოყოფილი Brucella melitensis - ის და Brucella abortus-ის შტამების იდენტიფიცირება და დახასიათება“ და სხვ.

50 2015 წელს შემუშავებული სამი ანგარიშიდან ექსპოზიციის შეფასება ქვეთავის სახით წარმოდგენილია ერთ შემთხვევაში, 2016 წელს სამი ანგარიშიდან - ორში, 2017-2018 წლებში ხუთი ანგარიშიდან - ხუთივეში, 2019 წელს ორი ანგარიშიდან - არცერთში, 2020 წელს ორი ანგარიშიდან - ერთში.

51 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N422 დადგენილება მუხლი 1, პუნქტი 5.




რისკის შეფასების შედეგად გასაშუალო რეკომენდაციები

საქართველოში მოქმედი რეგულაციის მიხედვით, რისკის შეფასების ანგარიში შედგება რისკის შეფასების სამეცნიერო დასკვნისა და სათანადო რეკომენდაციებისაგან, რომლებიც შემუშავებული უნდა იქნეს რისკის მართვის ორგანოებთან კომუნიკაციის/კონსულტაციების საფუძველზე.⁵² რეკომენდაციები უნდა იყოს მაქსიმალურად გასაგები და გამოსაყენებელი ფორმით წარდგენილი რისკის მმართველებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.⁵³ თუმცა არ არის განსაზღვრული, გარდა რისკის მმართველებისა, ვისი მისამართით შეიძლება გაიცეს რეკომენდაციები.⁵⁴

რისკის შეფასების სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებში სურსათისმიერი რისკების შეფასების შედეგად გაცემული 70 რეკომენდაციიდან ადრესატი მითითებულია მხოლოდ 25 მათგანზე.

აუდიტის სამსახურმა ცენტრის მიერ მითითებული ადრესატებისგან მოიპოვა რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (იხ. დიაგრამა N3.1.1).

დიაგრამა N3.1.1 სურსათისმიერი რისკების შეფასების ანგარიშების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესახებ ადრესატების მიერ განსაზღვრული შესრულების სტატუსები



აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და სტატუსების ვალიდურობის შემოწმება არ ხორციელდება. კოდექსის⁵⁵ და მთავრობის დადგენილებების⁵⁶ მიხედვით, სამინისტროს ფუნქციად განსაზღვრულია „რისკის ანალიზის ორგანიზება“, თუმცა არ არის დადგენილი სამინისტროს რომელ სტრუქტურულ ერთეულს ევალება აღნიშნული ფუნქციის შესრულება. ამასთანავე, არ არის განსაზღვრული გულისხმობს თუ არა რისკის ანალიზის ორ-

52 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N422 დადგენილება, მუხლი 2, ქვეპუნქტი „დ“.

53 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N422 დადგენილება, მუხლი 4, პუნქტი 10.

54 ცენტრის განმარტებით, კვლევის შედეგად შეიძლება გაიცეს ისეთი რეკომენდაცია, რომლის განხორციელების ვალდებულებაც კონკრეტულად არავის აქვს განსაზღვრული და, შესაძლოა, რეკომენდაციისათვის ადრესატის განსაზღვრა სამინისტროს, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელის პრეროგატივა იყოს.

55 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი „ე“.

56 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 1, პუნქტი 13.

განიზება რისკის შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების ორგანიზებას, რომელიც მოიცავს სამოქმედო გეგმის მომზადებას რეკომენდაციების შესრულების ვადების, შეალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორების მითითებით.

შესაბამისად:

- სურსათის უვნებლობის მიმართულებით, რისკის შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები სათანადოდ არ არის დარეგულირებული, რაც გულისხმობს შემდეგი საკითხების დეტალურად განსაზღვრას: რისკის შეფასების სამსახურის მიერ შემუშავებული ანგარიშების ფორმა და შინაარსი, რისკის შეფასების და მის თანმდევ თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები, ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

საერთაშორისო პრინციპების საფუძველზე შექმნილი ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმები შესაძლოა არ იყოს დეტალური და იმისათვის, რომ კანონის მოთხოვნების აღსრულება სათანადოდ მოხდეს, მნიშვნელოვანია, სამართლებრივი აქტებით რისკის შეფასების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების ან/და სახელმძღვანელოების საფუძველზე შემუშავდეს დეტალური მეთოდური მითითებები. გამომდინარე იქიდან, რომ პროცედურები არ არის გაწერილი მეთოდოლოგიურად, გემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩართულ მხარეებს აქვთ განსხვავებული აღქმა და აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითისთვის იხ. ციტატები ოფიციალური დოკუმენტებიდან:⁵⁷

- რისკის შეფასების ინიცირების საკითხთან დაკავშირებით, ცენტრი მიიჩნევს, რომ „რისკის შეფასების სტრუქტურებს აქვთ პროექტების თვითინიცირების უფლება და რისკის შეფასების სტრუქტურები არ არიან ვალდებულნი, მათ მიერ თვითინიცირებული პროექტების ინიცირების პროცესი შეათანხმონ დაინტერესებულ მხარეებთან.“ აკადემიის, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის მოსაზრებით: „რისკის შეფასების ორგანო ვერ უზრუნველყოფს აკადემიისა და ცენტრის კოორდინირებულ საქმიანობას რისკის შეფასების თემატიკის განსაზღვრის, თვითინიცირებული პროექტების განხილვის და სხვა პროცესებში.“ ამასთანავე, სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „პოტენციური საფრთხის განხილვის დაწყების თაობაზე საკითხი რისკის მმართველმა უნდა დააყენოს.“⁵⁸

შესაფასებელი საფრთხის რელევანტურობასთან დაკავშირებით, სააგენტო რისკის შეფასების ერთ-ერთ ანგარიშთან⁵⁹ დაკავშირებით მიიჩნევს, რომ „ანგარიში არ წარმოადგენს სურსათისმიერი რისკის შეფასებას“, ამასთანავე, სამინისტროს წარმომადგენელიც სვამს კითხვას, თუ „რომელმა მმართველმა დააყენა აღნიშნული პროექტის ინიცირების საკითხი“.⁶⁰

- რეკომენდაციებთან მიმართებით, ცენტრი მიიჩნევს, რომ „საყოველთაოდ აღიარებულია და არარაციონალურია ყველა რეკომენდაციის შეთანხმება რისკის მართვის ორგანოებ-

57 რისკის შეფასების სამსახურის და რისკის შეფასების სამეცნიერო ჯგუფის წერილი N01-12, 25.02.2021; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2020 წლის 23 ივნისის სხდომის ოქმი N3.

58 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2020 წლის 23 ივნისის სხდომის ოქმი N3.

59 „ბეტალაქტამაზების მაკოდირებული გენები სასმელ წყალში, როგორც ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული სურსათისმიერი პათოგენების აღმოცენების რისკფაქტორი“.

60 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2020 წლის 23 ივნისის სხდომის ოქმი N3.



თან, რადგან რეკომენდაცია შესაძლოა გაიცეს მმართველების და რისკის შემფასებლების მისამართითაც,⁶¹ თუმცა დადგენილების მიხედვით,⁶² „რეკომენდაციები შემუშავებული უნდა იქნეს რისკის მართვის ორგანოებთან კომუნიკაციის/კონსულტაციების საფუძველზე.“ აღსანიშნავია, რომ ცენტრის მიერ რისკის მმართველებისთვის რეკომენდაციები წარდგენილია დამტკიცებული ანგარიშების სახით, რაც კონსულტაციას და კორექტირების გაკეთების შესაძლებლობას არ გულისხმობს.⁶³

- რაც შეეხება ანგარიშის ფორმას და შინაარსს, დაინტერესებული მხარის (აკადემია) მოსაზრებით, „რისკის შეფასების ორგანოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში ტერმინოლოგიულად ეწინააღმდეგება კანონმდებლობით⁶⁴ დადგენილ „რისკის შეფასების ანგარიშის“ დეფინიციას. ექსპერტთა მოსაზრებით, სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია რამდენად შეიძლება ჩაითვალოს რისკის შეფასების პროექტის შედეგად, კითხვას ბადებს“. ცენტრის განმარტებით: „მათი კვლევები 2019 წლიდან მიმართულია ახალი სურსათისმიერი საფრთხეების გამოვლინებასა და ამ და სხვა ცნობილი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობის რისკების გზების შეფასებაზე, რაც კრიტიკულია რისკების შეფასებისთვის.“

იმ შემთხვევაში, თუ რისკის შეფასება და მასთან დაკავშირებული საქმიანობა სათანადოდ არ იქნება დარეგულირებული, შესაძლოა მოხდეს ისეთი პროექტის ინიცირება, რომელიც რისკის მმართველებისთვის არ იქნება აქტუალური, ხოლო განხორციელებული ქმედებები – პრიორიტეტული და სპეციფიკური საფრთხეების შესაბამისი.

რეგულაციების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის შემცირებას და სათანადოდ დარეგულირების საკითხს ხელს შეუწყობს რისკის შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებით დოკუმენტურად გაწერილი დეტალური პროცედურების არსებობა, რომელიც შემუშავებული იქნება რისკის შემფასებლების, რისკის მმართველების და სხვა დაკავშირებული მხარეების ერთობლივი კომუნიკაციის საფუძველზე. მაგალითად, სტანდარტული საოპერაციო პროცედურები (SOP), რომლებიც განსაზღვრავს ოპერაციულ ნაბიჯებს ორგანიზაციულ პროცესებთან ან პოლიტიკასთან მიმართებით.

დასკვნა

რისკის შეფასების შედეგად და რისკის მმართველებთან კონსულტაციის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები სურსათის უვნებლობის კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების მართვის შესახებ გადაწყვეტილება დამოკიდებულია რისკის შეფასების შედეგებზე. შესაბამისად, მთლიანი პროცესის სტრუქტურიზებულად წარმართვა და ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის სათანადო კომუნიკაცია გავლენას ახდენს პროექტის ინიცირების პროცესზე, რისკის შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებაზე.

61 რისკის შეფასების სამსახურის და რისკის შეფასების სამეცნიერო ჯგუფის წერილი N01-12, 25.02.2021.

62 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 2, ქვეპუნქტი „დ“.

63 აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა რეკომენდაციების ადრესატებთან შეთანხმების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

64 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“.



აუდიტის შედეგად, რისკის შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებით გამოვლინდა რეგულირების ხარვეზები:

- ნათლად არ არის განსაზღვრული შესაფასებელი საფრთხის ინიცირების ყველა შესაძლო ავტორი და ინიცირების თითოეულ შესაძლო პროცესში ეტაპობრივად განსახორციელებელი ქმედებები;
- ეროვნული მონაცემების ნაკლებობის გამო, რისკის შეფასების სამსახურის მიერ შემუშავებული ანგარიშები ძირითადად არის არა სრული სქემით რისკის შეფასების, არამედ რისკის შეფასების რომელიმე საფეხურის (მაგალითად, იდენტიფიცირება და დახასიათება) ან აღმოცენებადი რისკების შესწავლის ანგარიშები. არ არის განსაზღვრული ფორმალური პროცედურები, რისკის შეფასების სრული სქემით განუხორციელებლობის შემთხვევაში, რისკის შეფასების რომელი საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომები იქნება გამოყენებული ცენტრის მიერ მომზადებულ ანგარიშებთან დაკავშირებით;
- არ არის ფორმალიზებული რისკის შეფასების ფარგლებში რეკომენდაციების შემუშავების პროცესი და არ არის განსაზღვრული გაცემული რეკომენდაციების შესრულების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული სტრუქტურული ერთეული.

ზემოაღნიშნული საკითხების ფორმალიზაციისთვის, საჭიროა არსებობდეს ორგანიზაციულ დონეზე შემუშავებული პროცედურები, სადაც დოკუმენტურად და მკაფიოდ იქნება განვლილი თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები და მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ჩაკომენდაცია N 1

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრს

სისტემური, სრული, შესაბამისი და მეტად გამჭვირვალე სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკის ანალიზის პროცესის განხორციელების მიზნით საჭიროა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლობით, შემუშავდეს სტანდარტული საოპერაციო პროცედურები ან/და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ განისაზღვროს სურსათის უვნებლობის სფეროში, რისკის ანალიზის პროცესში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები და თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი ქმედებები.



3.2 რისკის შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მონაცემების ნაკლოვანებები

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის⁶⁵ და „კოდექს-ალიმენტარიუსის“⁶⁶ მიხედვით, რისკის შეფასება ეფუძნება, მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებს და მოიცავს ოთხ საფეხურს:

(I) **საფრთხის იდენტიფიცირება** – სურსათში არსებული ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური აგენტების იდენტიფიცირება, რომელთაც უნარი აქვთ გამოიწვიონ ჯანმრთელობის უარყოფითი ეფექტები.

(II) **საფრთხის დახასიათება** – სურსათში არსებულ ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ აგენტებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის უარყოფითი ეფექტების თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასება.

(III) **საფრთხის ზეგავლენის ანუ ექსპოზიციის შეფასება** – ადამიანის ორგანიზმში სურსათიდან ან სხვა წყაროებიდან ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური აგენტების შესაძლო მოხვედრის თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასება.

(IV) **რისკის დახასიათება** – საფრთხის იდენტიფიცირების, საფრთხის დახასიათებისა და ექსპოზიციის შეფასების საფუძველზე, მოცემულ პოპულაციაში ცნობილი ან პოტენციური ჯანმრთელობის უარყოფითი ეფექტების აღმოცენების ალბათობის და სიმძიმის თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასება.

რისკის შეფასება უნდა დაეფუძნოს მეცნიერულ მონაცემებს, რომლებიც ყველაზე რელევანტურია ეროვნული კონტექსტისთვის. რისკის შეფასებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ყველა ხელმისაწვდომი თვისობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია.

რისკის შეფასების ოთხი საფეხურიდან პირველი ორი შესაძლოა სრულად დაეყრდნოს უცხოურ სამეცნიერო ნაშრომებს, თუ მონაცემებს. თუმცა აღნიშნული შეუძლებელია ბოლო ორ საფეხურზე. ექსპოზიციის სათანადო შეფასებისათვის აუცილებელია, გაანალიზდეს მონაცემები ეროვნულ დონეზე სხვადასხვა სურსათის მოხმარების მასშტაბის და თავისებურებების თაობაზე. მნიშვნელოვანია პასუხები გაეცეს შემდეგ კითხვებს: მოსახლეობის რომელი ჯგუფი და რა სიხშირით მოიხმარს კონკრეტულ სურსათს, სად არის სურსათი შეძენილი, როგორია დისტრიბუციის ქსელში მისი დაბინძურების ალბათობა, ექვემდებარება თუ არა სურსათი რეცხვას ან თერმულ დამუშავებას, როგორია მომხმარებლის მიერ სურსათის შენახვის პრაქტიკა (ხანგრძლივობა, ტემპერატურა, სისუფთავე) და ა.შ.⁶⁷

65 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 5, პუნქტი 2.

66 „კოდექს ალიმენტარიუსი“, მთავრობების მიერ გამოსაყენებელი სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები, პუნქტი 23 - <http://www.fao.org/3/a1550t/a1550t.pdf>.

67 აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა. ლია თოდუა, „რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა: გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები“, გვ. 9.



აღნიშნული მონაცემების შეგროვების და ანალიზის შედეგად, შესაძლებელი იქნება მომზადდეს შესაბამისი რისკის მაქსიმალურად ზუსტი დახასიათება, ანუ შეფასდეს, როგორია კონკრეტული საფრთხის შემცველი სურსათის მოხმარების შედეგად ადამიანთა დაავადების ან ჯანმრთელობის დაზიანების ალბათობა და სიმძიმე ეროვნულ დონეზე.

მთავრობის დადგენილების შესაბამისად,⁶⁸ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში რისკის შეფასების მიზნისათვის, რისკის მართვასთან დაკავშირებული გადანაცვებების მიღებისა და ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილე ორგანოები ცენტრს მისივე მოთხოვნით აწვდიან ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიასა და საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას სახელმწიფო კონტროლის შედეგების, სურსათთან, მათ შორის, სასმელ წყალთან დაკავშირებული ინფექციური და არაინფექციური, ზოონოზური დაავადებების,⁶⁹ ეპიდემიადამხედველობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფაქტობრივი კვების კვლევის შესახებ.

სურსათის მოხმარების მონაცემების ჩისკის შეფასების პროცესში გამოყენება

საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და მეთოდოლოგიების გათვალისწინებით, სურსათით განპირობებული რისკის შეფასების საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, ექსპოზიციის რაოდენობრივი გათვალისწინების, როგორც ბიოლოგიურ,⁷⁰ ასევე ქიმიურ საფრთხეებთან მიმართებაში აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს სურსათის მოხმარების (სურსათის რაოდენობის, მოხმარების სიხშირის, მოხმარებული სურსათის კატეგორიის, მოხმარების სახის, მოხმარებელთან დაკავშირებული მახასიათებლების და ა.შ.) და ასევე სურსათში საფრთხის შემცველობის შესახებ მონაცემების არსებობა.⁷¹ აღნიშნულ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების შედეგად მიღებული სიდიდეების მათემატიკურ მოდელებში გამოყენების თანმიმდევრული ანალიზი ექსპოზიციის რაოდენობრივი შეფასებისას საშუალებას იძლევა დაბალი განუსაზღვრელობით შეფასდეს რისკები და დაიგეგმოს რისკის მართვის ეფექტური ღონისძიებები.

ექსპოზიციის შეფასების შედეგის განუსაზღვრელობის სიდიდე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფაქტობრივი კვების კვლევის მონაცემებზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,⁷² ფაქტობრივი კვების კვლევის შესახებ ინფორმაცია ცენტრს უნდა მიაწოდონ რისკის მართვასთან დაკავშირებული გადანაცვებების მიღებისა და ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილე ორგანოებმა. აღნიშნული ორგანოები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, საჭიროების მიხედვით შესაძლოა იყოს: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და სხვა უწყებები, შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში.

68 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს დადგენილება N442, რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ, მუხლი 8 (2).

69 ცხოველთა დაავადებები.

70 მიკრობიოლოგიური რისკების შეფასება სურსათისთვის, WHO, FAO - <https://www.who.int/publications/item/9789240024892>

71 EFSA სამეცნიერო კომიტეტი - <https://efsa.onlinelibrary.wiley.com/doi/10.2903/j.efsa.2019.5634>

72 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 8, პუნქტი 2.



მოსახლეობის „ფაქტობრივი კვების“ შესწავლა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით,⁷³ გათვალისწინებული იყო 2016-2017 წლებში, თუმცა 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით არ არის განხორციელებული.

სურსათთან ასოცირებული რაოდენობრივი რისკების შეფასების ხელისშემშლელ ფაქტორად, უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების, ასევე დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციებსა და დასკვნებში,⁷⁴ სწორედ რისკის რაოდენობრივი შეფასებისთვის აუცილებელი სათანადო მონაცემების არარსებობა ან მათი შეზღუდული რაოდენობა სახელდება.

„ფაქტობრივი კვების“ შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის, საჭიროა ეროვნულ დონეზე ფართომასშტაბიანი კვლევების განხორციელება, რაც მნიშვნელოვან დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამასთანავე, კვლევას წინ უნდა უძღოდეს მოსამზადებელი სამუშაოები: შესაბამისი მეთოდოლოგიების შემუშავება, რეპრეზენტატული კვლევის მასშტაბებისა და დიზაინის განსაზღვრა და სხვ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2020 წლის ანგარიშის რეკომენდაციის თანახმად, ასევე სამინისტროს დავალებით,⁷⁵ ცენტრის რისკის შეფასების მეცნიერთა ჯგუფისა და რისკის შეფასების სამსახურის ხელძღვანელობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, შემუშავდა სურსათის მოხმარების ფართომასშტაბიანი პროექტი – „ეროვნული დიეტური და ნუტრიციული კვლევა საქართველოში; პირველი ნაბიჯი – სურსათისმიერი რისკების რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით“ და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

მონიტორინგის შედეგების ჩისკის შეფასების პროცესში გამოყენება

სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები შესაძლოა სასარგებლო იყოს რისკის შეფასებისთვის, განსაკუთრებით ექსპოზიციის შეფასების საფეხურზე.

სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, აპრობირებულია მონიტორინგის შედეგების რისკის შეფასებაში გამოყენების პრაქტიკა, რომლის მიხედვით, კვლევები ხორციელდება მონიტორინგის ფარგლებში რისკის შეფასების ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, მათ მიერ განსაზღვრული გეგმისა და რაოდენობის მიხედვით.⁷⁶

კოდექსის მიხედვით, საქართველოში მონიტორინგი მოიცავს რისკის შეფასებისათვის სურსათის/ცხოველის საკვების მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის, ქიმიური დამაბინძურებლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას და მასში ფიზიკური საფრთხის არსებობის შესწავლას ნიმუშის აღების და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამო-

73 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015–2020 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა.

74 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევროპის ფონდი, გვ.72.

75 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი.

76 სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, დარეჯან დულაშვილი, ქიმიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, „მონიტორინგის განხორციელებისა და შედეგების რისკის შეფასების მიზნით გამოყენების შესაძლებლობები და განუსაზღვრელობები“, გვ. 19.



კვლევების ჩატარების გზით.⁷⁷ ამასთანავე, მთავრობის დადგენილების⁷⁸ მიხედვით, რისკის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისა და ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილე ორგანოები ცენტრს რისკის შეფასების მიზნისათვის ანვდიან სახელმწიფო კონტროლის შედეგების შესახებ ინფორმაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ბაზარზე განთავსებული და/ან ბაზრისთვის გამზადებული სურსათის შესაბამისობის დადგენა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან, სურსათის კვლევა ხორციელდება მხოლოდ ნორმირებულ ან აკრძალულ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, ყურადღების მიღმა შესაძლოა დარჩეს პოტენციური საფრთხეები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით რეგულირებას/ნორმირებას არ ექვემდებარება.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო მონიტორინგს ახორციელებს უმეტესად მაღალრისკიან⁷⁹ და ნაწილობრივ საშუალორისკიან ობიექტებში (იხ. ქვეთავი 3.3), რაც რაოდენობრივად და ხარისხობრივად არათავსებადია რისკის შეფასების საჭიროებებთან. შესაბამისად, ასეთი ობიექტების შემოწმების შედეგების განზოგადება მთლიან ერთობლიობაზე არ არის მიზანშეწონილი.

არსებული პრაქტიკით, რისკის შეფასების სამსახური, რიგ შემთხვევებში იყენებს სახელმწიფო კონტროლის შედეგებს საკუთარი პროექტების ფარგლებში. მაგალითად, ერთ-ერთ პროექტში⁸⁰ – სასმელი წყლის მოხმარების შესახებ, ეროვნული მონაცემების არქონის გამო, ექსპოზიციის შეფასება გაკეთებულია სააგენტოს მიერ გენერირებული სასმელი წყლის ნიმუშების ლაბორატორიული ტესტირებიდან მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. თუმცა, ცენტრი აღნიშნულ მონაცემებს რისკის შეფასების მიზნებისთვის არ მიიჩნევს საკმარისად დეტალურად, რასთან დაკავშირებითაც გასცემს რეკომენდაციას სახელმწიფო მონიტორინგის მისამართით. გაცემული რეკომენდაციის მიზანია მონაცემების იმგვარი დამუშავების უზრუნველყოფა, რომ შემდგომში მონაცემების რისკის შეფასებისთვის გამოყენება იყოს შესაძლებელი.

უპირველესტო ყველაფერს რისკის შეფასების პროცესში გამოყენება

რისკის შეფასების პროცესში, კერძოდ, ადამიანის ორგანიზმში სურსათიდან ან სხვა წყაროებიდან მავნე აგენტების მოხვედრის გზების იდენტიფიცირებისთვის, მნიშვნელოვანია სურსათით გამოწვეული დაავადებების შესახებ სათანადო დეტალიზაციის მონაცემების არსებობა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი აღრიცხავს მხოლოდ სავარაუდო საკვებისმიერ ინტოქსიკაციებს. აღნიშნული შემთხვევები ლაბორატორიულად, როგორც წესი, არ მოწმდება და სურსათთან მათი დაკავშირება ხდება მხოლოდ პაციენტის მითითების საფუძველზე. შესაბამისად, უცნობია დაავადების გამომწვევი აგენტი და სურსათის სახეობა, რომლის საშუალებითაც იგი მოხვდა ადამიანის ორგანიზმში. სავარაუდო მონაცემების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს რისკების სათანადო შეფასებას.

77 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 261, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ“.

78 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N442 დადგენილება, მუხლი 8, პუნქტი 2.

79 სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული მაღალი ქულის მქონე ბიზნესსუბიექტები.

80 სასმელი წყლის მიკრობიოლოგიურ დაბინძურებასთან ასოცირებული სურსათისმიერი ინფექციების აღმოცენების პოტენციური რისკები (2020-2021 წწ.).



დასკვნა

სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების სათანადო შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე შესაბამისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების არსებობა. ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები:

- არ არის შემუშავებული მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების, ანუ „ფაქტობრივი კვების“ შესახებ მონაცემები ეროვნულ დონეზე, რაც ხელს უშლის ექსპოზიციის სათანადო შეფასებას;
- რისკის მმართველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები, ხშირად არ არის თავსებადი რისკის შეფასებისთვის;
- სურსათით გამოწვეული დაავადებების შემთხვევები არ დასტურდება ლაბორატორიულად და მხოლოდ სავარაუდო მონაცემებია, რაც რისკის შეფასებისთვის გამოსადეგი არ არის.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ – სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მიერ მომზადებული სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკის შეფასების დასკვნები სათანადოდ ვერ ფარავს ექსპოზიციის შეფასებას, რაც ხელს უშლის რისკის დახასიათების საფეხურის ხარისხიანად განხორციელებას. შედეგად, რისკის შეფასების პროცესი ვერ ხორციელდება სრული სქემით.⁸¹

რეკომენდაცია N 2

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

პრიორიტეტული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და სურსათისმიერი საფრთხეების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების სრული სქემით შეფასების სათანადო წინაპირობების შესაქმნელად, სამინისტრომ უზრუნველყოს ეროვნულ დონეზე მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების – „ფაქტობრივი კვების“ კვლევის ორგანიზება და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად.

რეკომენდაცია N 3

სსიპ –სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ –სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრს

სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრთან ერთად შეიმუშაოს მონიტორინგის განხორციელების ისეთი მიდგომები, რომლებიც სურსათის ნიმუშის აღებისას და მასში საფრთხის შესწავლისას რისკის მმართველის მიერ შემუშავებულ მონაცემებს გახდის რისკის შემფასებლისთვის მეტად გამოსადეგს.

81 არსებული კანონმდებლობით („რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის N442 დადგენილება) და საერთაშორისო სტანდარტებით (codex alimentarius) განსაზღვრული რისკის შეფასების ოთხი საფეხური.



3.3 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მანიშნელოვანია სტანდარტიზებული და დაცული ელექტრონული სისტემის არსებობა, რომელიც რისკებზე დაფუძნებული მეთოდით ავტომატიზებულად შეადგენს კონტროლის გეგმას და ობიექტურად შეარჩევს შესამოწმებელ ბიზნესოპერატორებს.

სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია სტანდარტიზებული და დაცული ელექტრონული სისტემის არსებობა, რომელიც რისკებზე დაფუძნებული მეთოდით ავტომატიზებულად შეადგენს კონტროლის გეგმას და ობიექტურად შეარჩევს შესამოწმებელ ბიზნესოპერატორებს.

ინფორმაციული სისტემა ბიზნესპროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. ის შეიძლება მოიცავდეს როგორც მანუალურ, ასევე ავტომატიზებულ პროცედურებს, თუმცა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ტიპის პროცედურისათვის განსაზღვრული იყოს შესაბამისი დონის აპლიკაციის კონტროლები, რათა განხორციელდეს სისტემაში არსებული მონაცემების ზუსტი და უსაფრთხო დამუშავება და შენახვა. აპლიკაციის უსაფრთხოების კონტროლის ერთ-ერთი საშუალებაა მომხმარებლების მხრიდან სისტემაზე წვდომის უფლებების განსაზღვრა და ლოგირების ფუნქციის არსებობა. აღნიშნული გულისხმობს სისტემაში არსებული ინფორმაციის წაშლის/ცვლილების დროს ავტორიზაციის რამდენიმე დონეს, ასევე ლოგირების სისტემას, რომელიც მიკვლევადს ხდის განხორციელებული ქმედებებისა და მათზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად და შესამოწმებელი ბიზნესოპერატორების შერჩევისთვის სააგენტო იყენებს ელექტრონულ პროგრამას, რომლის დანერგვა დაიწყო 2015 წელს. ელექტრონული სისტემა გამოიყენება 2017 წლიდან თბილისში, ხოლო 2019 წლიდან სააგენტოს ყველა რეგიონული სამმართველო სრულად ჩაერთო აღნიშნულ პროგრამაში. სისტემა შემუშავებულია ერთი დეველოპერის⁸² მიერ, რომელმაც მენეჯმენტთან შეთანხმების საფუძველზე შექმნა პროგრამის შემადგენელი ნაწილების დიზაინი და ფუნქციონალი და უზრუნველყოფს სისტემის მოვლა-შენახვას. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება, რომელიც ასახავს პროგრამის შექმნისათვის განხორციელებულ აქტივობებს და მისი შემადგენელი კომპონენტების ურთიერთკავშირის პრინციპებს, არ განხორციელებულა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ელექტრონული სისტემის შესაფასებლად, საბოლოო მომხმარებლებმა შეისწავლეს მისი ფუნქციონალი. პროგრამაში გენერირდება მონაცემები ბიზნესოპერატორების შესახებ, ხორციელდება გარე უწყებებიდან⁸³ მიღებული მონაცემთა ბაზების მიგრაცია და ობიექტებისათვის რისკის დონეების განსაზღვრა. სისტემა განსაზღვრავს სურსათის ბიზნესოპერატორების რისკის დონეს, არსებული კრიტერიუმების გათვალისწინებით.⁸⁴

ელექტრონული სისტემა შედგება ორი კომპონენტისაგან:

1. პირველი კომპონენტი გამოიყენება უშუალოდ ინსპექტირების განხორციელების პროცესში. მას იყენებენ ინსპექტორები ობიექტის შემოწმებისათვის. ინსპექტორებს ყოველდღიურად აქვთ შესაძლებლობა, ჩამოტვირთონ დღიური გეგმა.⁸⁵ ობიექტები, სადაც უნდა განხორცი-

82 სააგენტოს მოქმედი თანამშრომელი.

83 სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და სსიპ - შემოსავლების სამსახური.

84 იხ. ქვეთავი N2.2 - სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო.

85 დღიური გეგმა მოიცავს ერთიდან სამ ობიექტამდე.



ელდეს გეგმური ინსპექტირება,⁸⁶ პროგრამულად ნაწილდება კონკრეტულ ჯგუფებზე. სისტემის სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებია: ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის ოქმების გენერირება და ჯარიმების გამოწერა.

2. მეორე კომპონენტს იყენებენ მენეჯმენტის წარმომადგენლები, რეგიონის უფროსები და სისტემური ადმინისტრატორი. იგი შედგება სამი ტიპის ფუნქციისაგან, კერძოდ: „სტატისტიკა“, „ადმინისტრირება“ და „სისტემური ადმინისტრირება“. პრაქტიკაში მათ მომხმარებლებს სისტემაში სხვადასხვა დონის დაშვება აქვთ, მაგალითად:

- „სტატისტიკის“ ფუნქციის მომხმარებლებისათვის ანგარიში საერთოა და სისტემაზე წვდომისათვის საერთო მარტივი პაროლია განსაზღვრული;
- „ადმინისტრირების“ მომხმარებელს აქვს: 1. ინსპექტირების გეგმის შედგენის ფუნქცია, რაც გულისხმობს რეგიონის უფროსების მიერ შესამოწმებელი ობიექტების ხელით მონიშვნას – პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ კონკრეტულ ობიექტს მიეთითოს სტატუსი – „არ მონაწილეობს შერჩევაში“. 2. მონაცემების ჩასწორებისა და წაშლის ფუნქცია, რომელიც სააგენტოს განმარტებით შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტების დუბლირებასთან, სახელმწიფო კონტროლის დროს გამოვლენილ ისტორიის არმქონე გაუქმებულ ბიზნესოპერატორთან, ასევე ბაზაში არსებული მონაცემების უზუსტობასთან;
- „სისტემური ადმინისტრირების“ მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა წაშალონ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის აქტები, დუბლირების ან სხვა მიზეზის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამას არ აქვს ლოგირების სისტემა, რაც სისტემაში განხორციელებული ქმედებების შესახებ მონაცემებს ინახავს.

შესაბამისად:

მიუხედავად იმისა, რომ სურსათის უვნებლობის მიმართულებით, სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა ელექტრონული პროგრამა, სისტემა საჭიროებს გაუმჯობესებას:

- ელექტრონული სისტემის შესახებ არსებული არასაკმარისი დოკუმენტაციის პირობებში, არსებობს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მართვის პროგრამის შესახებ ინსტიტუციური ცოდნის დაკარგვის რისკი, რომელიც დაკავშირებული იქნება სისტემის ფუნქციონირების, გაუმჯობესებისა და მოვლა-შენახვის შესაძლებლობის შეზღუდვასთან;
- სისტემაში არსებული არასაკმარისი კონტროლის მექანიზმები ზრდის მონაცემთა დამუშავების სიზუსტისა და სანდოობის რისკებს.

აღნიშნული ნაკლოვანებების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება განვიხილოთ არასაკმარისი ადამიანური რესურსი მსგავსი ტიპის სისტემისათვის. ამასთანავე, არ არსებობს პროგრამული კოდის შესახებ დოკუმენტირებული მასალა, რომელიც აღწერს მის არქიტექტურასა და შემადგენელი კომპონენტების ერთმანეთთან კოორდინაციის პრინციპებს. შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან არსებული ადამიანური რესურსის გადინების შემთხვევაში, იზრდება სისტემის ფუნქციონირებისა და მის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული რისკები.

86 რისკის დონის მიხედვით კლებადობის პრინციპით: მაღალრისკიანიდან - დაბალრისკიანამდე.



ზემოთ მოცემული ნაკლოვანებები გამოწვეულია ასევე პროგრამაში არსებული კონტროლის სისუსტეებით. კერძოდ, სააგენტოს ელექტრონულ სისტემას არ გააჩნია ლოგირების მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ სისტემის ლოგების წარმოება და მისი მუდმივი მონიტორინგი საჭიროა ინფორმაციის დამუშავებისას არავტორიზებული ქმედებების აღმოჩენისათვის. პროგრამის მონიტორინგი უნდა გამოიყენებოდეს იმ მიზნით, რომ შემოწმდეს სისტემაზე წვდომის არსებული პრაქტიკა. მიმდინარე პერიოდში, სააგენტოში არსებული მიდგომა არ იძლევა პროგრამაში განხორციელებული ტრანზაქციებისა და მათზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირების საშუალებას. აღნიშნული პროცესი არც სამსახურის ფარგლებში არსებული შესაბამისი რეგულაციებით არის განსაზღვრული. კერძოდ, სააგენტოს არ აქვს პრაქტიკა, რომ ოფიციალურად/დოკუმენტურად განხორციელდეს სისტემაში ცვლილების შეტანის მოთხოვნა. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის რამდენიმე მომხმარებელი იყენებს ერთსა და იმავე ანგარიშს და, შესაბამისად, განხორციელებული ტრანზაქციები⁸⁷ არ არის პერსონიფიცირებული.

დასკვნა

სურსათის უვნებლობის კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილია ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება შესამოწმებელი ობიექტების გეგმის შედგენა და ინსპექტირება-მონიტორინგის პროცესის მართვა. პროგრამა მოიცავს სახელმწიფო კონტროლის ყველა ელემენტს და მისი საშუალებით კონტროლის პროცესი სრულად ელექტრონულია. თუმცა, სისტემას აქვს ხარვეზები, რომელთა გაუმჯობესების შედეგად შესაძლებელია პროცესის უფრო ეფექტიანად მართვა და რისკების შემცირება.

კერძოდ, ელექტრონული სისტემის პროგრამული კოდის შესახებ დოკუმენტაციის არსებობა უზრუნველყოფდა პროგრამის შესახებ ინსტიტუციური ცოდნის დაკარგვის, შესაბამისად, სისტემის გამართულად ფუნქციონირებისა და მისი მოვლა-შენახვის რისკების მინიმუმამდე დაყვანას. ასევე პროგრამაში ძლიერი კონტროლის მექანიზმების არსებობა შეამცირებდა მონაცემთა დამუშავების სიზუსტისა და სანდოობის რისკებს, ხოლო ლოგირების სისტემა განხორციელებული ქმედებების მიკვლევადობას უზრუნველყოფდა.

რეკომენდაცია N4

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ელექტრონული პროგრამის მომავალში უწყვეტად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს როგორც პროგრამული კოდის შესახებ დოკუმენტური ჩანაწერი, ასევე პროგრამის გამოყენების მეთოდოლოგია.

რეკომენდაცია N5

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანად და ობიექტურად მართვის მიზნით, სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გააუმჯობესოს ელექტრონული პროგრამის კონტროლის მექანიზმები, რაც გულისხმობს პროგრამაში ლოგირების სისტემის დამატებასა და სისტემაზე წვდომის უფლებების დოკუმენტურად განსაზღვრას.

⁸⁷ ლოგირების ჩანაწერები.



3.4 სააგენტოს მიერ სურსათში აღმოჩენილი დაზიანების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირების პოლიტიკის ნაკრძანები

მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის, სურსათის უვნებლობის დარღვევების იდენტიფიცირებასთან ერთად, მნიშვნელოვანი საკითხია სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან დარღვევების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება იმ შემთხვევებში, თუ დადასტურდება, რომ ბაზარზე განთავსებული სურსათი ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნეა.⁸⁸

სურსათის მავნებლობის ზოგადი შეფასების გარდა,⁸⁹ სურსათის უვნებლობის დასადგენად სათვალისწინებელია სურსათის არა მხოლოდ შესაძლო მყისიერი გავლენა, არამედ შესაძლო ტოქსიკური კუმულაციური ეფექტი მომხმარებელზე, რაც ნიშნავს სამკურნალო ან ტოქსიკურ ნივთიერებათა დაგროვებას ორგანიზმში მათი ხანგრძლივად მოხმარების გამო და ამ დაგროვების შედეგად ნივთიერების მოქმედების გაძლიერებას დროის გარკვეულ პერიოდში.

სურსათის უვნებლობის მაჩვენებლების შეფასებასთან ერთად, სააგენტო ამოწმებს სურსათის ხარისხობრივ მაჩვენებლებს,⁹⁰ რისი გასაჯაროების ვალდებულებაც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

სააგენტოს მხრიდან დარღვევების გასაჯაროება ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვას მავნე პროდუქტის მოხმარებისგან ან/და შესაძლო შეცდომაში შეყვანის მცდელობისაგან.⁹¹

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, სურსათის უვნებლობის დარღვევების გასაჯაროების პოლიტიკა არის სტანდარტიზებული და დოკუმენტურად განერილი სტანდარტული საოპერაციო პროცედურების სახით.

მაგალითად, ლიეტუვაში,⁹² „ლიეტუვის რესპუბლიკის სურსათის შესახებ კანონის“ თანახმად, შექმნილი დარღვევების გასაჯაროების პოლიტიკის მიხედვით, შემთხვევები, რომლებიც საჭაროდ უნდა გამოქვეყნდეს, უფრო კონკრეტულად არის აღწერილი სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელი უწყების ხარისხის შიდა დოკუმენტში (Quality System Program SK-1–5 – Provision of information to the mass media), რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არის სტანდარტული საოპერაციო პროცედურა. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია: თუ რა კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება შემთხვევის გასაჯაროების საკითხი; რა ვადაში უნდა მოხდეს საზოგადოების გაფრთხილება სახიფათო პროდუქტის შესახებ, მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ პროდუქტი არ არის უსაფრთხო; რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს საზოგადოების გაფრთხილების განცხადება; რომელი საკომუნიკაციო არხები გამოიყენება და სხვ.

88 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 22, პუნქტები: „ა“, „ე“.

89 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიხედვით (მუხლი 11): სურსათი მავნედ მიიჩნევა, თუ იგი: ა) საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; ბ) არ არის მიზანშეწონილი ადამიანის მიერ მისი მოხმარება.

90 მაჩვენებლები, რომლებიც არ წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ეხება მხოლოდ სურსათის ფალსიფიცირებას და მომხმარებლების ინტერესების დაცვას.

91 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 101.

92 https://www.momxmarebeli.ge/contentfiles/docs2/Warnings_about_unsafe_products/Annex_5_Lithuanian_Practice_docx.pdf



აღნიშნული ხარისხის სისტემის პროგრამის თანახმად, სახიფათო საკვები პროდუქტების გამოვლენის შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, ასევე საკვებით მასშტაბური ინტოქსიკაციის შემთხვევაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, არაუმეტეს, 2 სამუშაო დღის ვადაში, ლიეტუვის პრაქტიკის შესაბამისად.

მომხმარებელთა ინფორმირების კუთხით, სააგენტო 2015 წლიდან 2018 წლამდე ხელმძღვანელობდა კომუნიკაციის სტრატეგიით, რომლის მიზანი იყო სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სისტემის ფორმირება; შიდა კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის მართვის გაუმჯობესებასა და პროაქტიული კომუნიკაციის წარმოება სპეციფიკური საინფორმაციო კამპანიების წარმოების გზით.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, დასახული ამოცანები ორიენტირებული იყო მედიასთან ურთიერთობის სისტემატიზაციაზე, საინფორმაციო მასალების მომზადებასა და გავრცელებაზე, სხვადასხვა კამპანიებზე (მათ შორის, ცნობადობის გაზრდის კამპანიები), უკუკავშირის სისტემის შექმნასა და ინტერნეტკომუნიკაციის გაძლიერებაზე. აღსანიშნავია, რომ სააგენტომ საკომუნიკაციო სტრატეგიით დასახული ამოცანის ინტერნეტკომუნიკაციის გაძლიერების მხრივ 2019 წელს დაიწყო ვებგვერდის განახლების სამუშაოები, რომელიც 2020 წლის ბოლოს დასრულდა და ვებგვერდი სატესტო რეჟიმში ამოქმედდა.

სააგენტოს მიერ დარღვევების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების ფორმა, ძირითადად, არის ვებგვერდზე MS Excel-ის ფორმატით გამოქვეყნებული ყოველთვიური ან ყოველწლიური ანგარიშები. ამასთანავე, სააგენტო იყენებს ონლაინმედიას სოციალური მედიისა და ელექტრონული მედიის სახით.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019-2020 წლებში აღმოჩენილი დარღვევები და მათი გასაჯაროების შემთხვევები, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა დარღვევების გასაჯაროების ფაქტები, როგორც ვებგვერდის, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2019-2020 წლებში ნიმუშების აღების შედეგად 991 დარღვევა⁹³ გამოავლინა, საიდანაც 936 შემთხვევაში დადასტურდა სურსათის უვნებლობის მაჩვენებლის შეუსაბამობის ფაქტი, ხოლო 55 შემთხვევაში – ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსაბამობა.

93 სულ გამოვლენილი 991 შემთხვევიდან 407 შემთხვევა დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო 584 შემთხვევა – 2020 წელს.

ცხრილი N3. დარღვევების ტიპების მიხედვით, პროცენტული გადანაწილება 2019-2020 წლებში⁹⁴

დარღვევის ტიპი	რაოდენობა	%
სურსათის უვნებლობის მაჩვენებელი 2019-2020		
მეტრონიდაზოლი/ზერანოლი/ნიტროფურაზონი/დიმეტრიდაზოლი/დაფსონი/ქლორანფენიკოლი/პროგესტერონი/მედროქსიპროგესტერონის აცეტატი/ფურაზოლიდონი/ფურალტადონი	384	39%
კოლიფორმები/St. faecalis /ფორმაზინი	376	38%
ნიტრატები	50	5%
მეთილის სპირტი/სტაფილოკოკი/ნჩჭბ/მაფანმრ/ქიმიური ნიტრიტები/მალაქიტის მწვანე/სხვ.	42	4%
სუდანი/სალმონელა	30	3%
ბრუცელოზი	27	3%
ტყვია	19	2%
ტრანს ცხიმი	8	1%
სულ უვნებლობის მაჩვენებლები:	936	
ხარისხობრივი მაჩვენებელი 2019-2020		
ცხენის დნმ/ქათმის დნმ	22	2%
მალვიდინი/მაქრიანობა/სხვ.	21	2%
მცენარეული ცხიმი	12	1%
სულ ხარისხობრივი მაჩვენებლები:	55	
სულ:	991	

აღსანიშნავია, რომ ცხრილში N3 წარმოდგენილი დარღვევებიდან სავალდებულო გასატარებობას ექვემდებარებოდა მხოლოდ სურსათის უვნებლობის მაჩვენებლების შეუსაბამობის 936 ფაქტი,⁹⁵ საიდანაც სააგენტოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გასატარებობის 28 შემთხვევის ფარგლებში, ჯამურად გამოქვეყნებულია 288 დარღვევის შესახებ ინფორმაცია (31%).

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს არ გააჩნია სურსათის ხარისხობრივი მაჩვენებლების დარღვევის გასატარებობის ვალდებულება, გასატარებობის 3 შემთხვევის ფარგლებში, ჯამურად, გამოქვეყნებულია ინფორმაცია 48 დარღვევის შესახებ (87%).⁹⁶

აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულებები ინფორმაციის გასატარებობის შესახებ სხვა დარღვევებთან დაკავშირებით.

ზოგიერთი დარღვევის შემთხვევაში, განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთის ან/და ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღებასთან დაკავშირებული მითითებების ბიზნესოპერატორისთვის გაცემა და ამ მითითებების შესრულებაზე ზედამხედველობა, თუმცა პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავება დასაშვებია იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის აღმოჩენის მომენტში საქონელი მომხმარებლისთვის ჯერ კიდევ არ იყო მიწოდებული.⁹⁷

94 აღმოჩენილი დარღვევების ტიპები (სურსათის უვნებლობის და ხარისხობრივი მაჩვენებლები) წარმოდგენილია სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

95 სურსათის ხარისხობრივი მაჩვენებლების გასატარებობის ვალდებულება კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

96 აღნიშნული შეეხება ცხენის ხორცის, სასმელი წყლის დაბინძურების, ნიტრატების გადაჭარბებისა და მცენარეული ცხიმის აღმოჩენის ფაქტებს.

97 სურსათის უვნებლობის და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 181, პუნქტი 3.



ამასთანავე, სააგენტო რიგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს აღმოჩენილი მავნე პროდუქტების შესახებ მოსახლეობის დროულ ინფორმირებას. მაგალითად, კონკრეტულ დაღვევებთან დაკავშირებით პროდუქციის ლაბორატორიული კვლევების ოქმები 2019 წლის 30 ოქტომბრით თარიღდება, მაშინ როდესაც მედიასაშუალებების მიერ ინფორმაცია გავრცელდა 7 დღის შემდეგ – 2019 წლის 6 ნოემბერს.⁹⁸

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის სრული და საკმარისი. მაგალითად, განცხადებებში არ არის მითითებული გამოვლენილი სურსათის გავრცელების არეალი და პარტიების საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაც მომხმარებელს მისცემდა საშუალებას გაერკვია, თუ სად და რომელი პარტიები აღმოჩნდა მავნე.⁹⁹

შესაბამისად:

- აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სააგენტოს მიერ სურსათში აღმოჩენილი ყველა დარღვევის შესახებ მომხმარებლის ინფორმირება არ ხორციელდება, ხოლო რიგ შემთხვევებში, გასაჯაროებულია დაგვიანებით. ამასთანავე, გამოქვეყნებული ინფორმაცია არ მოიცავს დეტალებს მავნე პროდუქტის მიკვლევადობისთვის.

სააგენტოს არ აქვს გაწერილი დარღვევების გასაჯაროების პოლიტიკა (სტანდარტული ოპერაციული პროცედურა), სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი გასაჯაროების პროცესის ეტაპები და მონაწილე ერთეულები ორგანიზაციულ დონეზე, საფრთხის შეფასებასა და საზოგადოების ინფორმირების საჭიროების დადგენაზე პასუხისმგებელი პირები, დარღვევის გასაჯაროების კრიტერიუმები, დარღვევის შესახებ საზოგადოების გაფრთხილების ვადები, საზოგადოების გაფრთხილების მიზნით გამოქვეყნებული განცხადების მონაცემები და სხვ. აღნიშნული უზრუნველყოფდა სტანდარტიზებულ და დასაბუთებულ მიდგომას სურსათში აღმოჩენილი დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე, მომხმარებლის ინფორმირების გადანაცვტილებასთან დაკავშირებით.

გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტოს არ აქვს შემუშავებული დარღვევების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირების პროცედურები, მათი გასაჯაროება არ ხორციელდება სრულად და დროულად, რაც ვერ უზრუნველყოფს შესაძლო საფრთხისგან მოსახლეობის მაღალი სტანდარტით დაცვას და მნიშვნელოვნად ამცირებს სურსათის უვნებლობის კონტროლის ეფექტიანობას.

სააგენტოს მხრიდან დარღვევების შესახებ ინფორმაციის სრულად და დროულად გასაჯაროების ერთ-ერთი გამოწვევაა მომხმარებელთა იმგვარად ინფორმირება, რომ ასევე დაცული იყოს ბიზნესოპერატორთა რეპუტაცია და ინტერესები. აღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემუშავდეს ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკა არსებული ვალდებულებების და გამონაკლისების შესაბამისად, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.

98 <https://www.ghn.ge/news/235033-biu-bius-tsarmoebis-katmis-khortsshi-salmonela-gamovlinda> <https://1tv.ge/news/biu-bius-warmoebis-qatmis-khorcshi-salmonela-aghmoachines/>

99 <https://sputnik-georgia.com/society/20200213/247725544/ras-vWamT-qarTuli-Taflis-nimuSebi-ucxo-minarevebi-aRmoCnda.html>; <https://ajaratv.ge/article/51132>; <https://1tv.ge/news/biu-bius-warmoebis-qatmis-khorcshi-salmonela-aghmoachines/>



დასკვნა

მავნე პროდუქტის მოხმარებისგან თავის არიდების მიზნით, მნიშვნელოვანია მომხმარებლებმა დროულად და დეტალურად შეიტყონ სურსათში მავნე ნივთიერების აღმოჩენის ყველა შემთხვევის შესახებ.

აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ 2019-2020 წლებში სააგენტოს მიერ ნიმუშების აღების შედეგად სურსათში აღმოჩენილი, სავალდებულო გასაჭაროებას დაქვემდებარებული 936 შემთხვევიდან, ინფორმაცია გამოქვეყნებულია შეუსაბამობის 288 ფაქტის შესახებ (31%), რომლებიც სრულად არ მოიცავს პროდუქტის იდენტიფიცირებისა და მიკვლევადობისთვის საჭირო ინფორმაციას, ასევე, რიგ შემთხვევებში, მათი გასაჭაროება არ არის დროული. ინფორმაციის გასაჭაროების შესახებ სტანდარტული ოპერაციული პროცედურების არსებობა, სადაც დეტალურად იქნება განვრცოვებული დარღვევების გასაჭაროების კრიტერიუმები, ვადები, საზოგადოების გაფრთხილების მიზნით გამოქვეყნებულ განცხადებებში არსებული მონაცემები და სხვ., უზრუნველყოფდა მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების სანდოობის ზრდას, სტანდარტიზებულ და დასაბუთებულ მიდგომას სურსათში აღმოჩენილი დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე მომხმარებლის ინფორმირების გადანაცვლებასთან დაკავშირებით და შეამცირობდა მავნე პროდუქტის მოხმარების რისკებს.

რეკომენდაცია N 6

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

მავნე სურსათის შესახებ მოსახლეობის სრულად და დროულად ინფორმირების უზრუნველსაყოფად, სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს დეტალური მეთოდოლოგია ან/და სტანდარტიზებული ოპერაციული პროცედურები, სადაც განისაზღვრება დარღვევის გასაჭაროების კრიტერიუმები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები; ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად განიხილოს სურსათის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის გასაჭაროებისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭების საკითხი.



დანართი

დანართი N 1

წელი	საქონლის კოდი	სულ შესამონშებელი გეგმის მიხედვით		სულ შემონშებული	
		ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია	სხვა ქვეყნები	ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია	სხვა ქვეყნები
2019	202	1	4	1	8
2019	203	1	14	3	61
2019	210	2	0	7	3
2019	201	2	1	3	2
2019	202	1	8	-	19
2019	203	2	29	4	89
2019	210	6	1	9	6
2019	206	2	3	8	10
2019	206	1	1	3	2
2019	209	4	0	10	-
2019	302	4	11	7	12
2019	303	7	8	3	6
2019	304	2	2	4	2
2019	305	2	2	2	5
2019	306	0	6	-	6
2019	307	0	3	-	4
2019	306	0	3	2	5
2019	307	0	1	2	-
2019	401	5	69	7	79
2019	402	4	33	2	68
2019	403	3	98	5	312
2019	404	0	10	-	6
2019	405	4	25	1	25
2019	406	15	83	20	87
2019	402	2	3	2	5
2019	407	-	49	-	80
2019	407	-	49	-	80
2019	409	0	1	-	2
2019	504	1	6	1	30
2019	1601	4	16	7	33
2019	209	4	0	12	-
2019	0207 11 900 00	-	0	-	1
2019	0207 12 900 00	0	14	-	14
2019	0207 13 200 00	-	1	-	2
2019	0207 14 100 00	0	16	-	14
2019	0207 14 100 00	263	27	263	27
2019	0207 14 200 00	2	18	-	15
2019	0207 14 300 00	0	2	-	1
2019	0207 14 500 00	-	10	-	11



2019	0207 14 600 00	0	7	-	4
2019	0207 14 910 00	-	5	-	8
2019	0207 14 910 00	-	5	-	8
2019	0207 26 100 00	2	-	2	-
2019	0207 27 100 00	12	-	12	-
2020	202	1	7	1	7
2020	203	1	25	-	24
2020	210	1	0	-	1
2020	201	1	0	1	1
2020	202	1	14	3	14
2020	203	2	50	3	65
2020	210	4	1	5	1
2020	206	2	5	4	4
2020	206	1	1	-	-
2020	209	3	3	5	3
2020	0210 99 390 00	42	-	42	-
2020	302	7	18	9	16
2020	303	11	15	12	15
2020	304	3	2	2	1
2020	305	1	2	-	-
2020	305	0	2	-	3
2020	306	0	2	-	4
2020	307	0	1	-	3
2020	306	0	2	-	4
2020	307	0	1	-	3
2020	401	3	55	2	58
2020	402	3	36	2	16
2020	403	2	84	3	106
2020	404	0	9	-	10
2020	405	3	20	6	37
2020	406	9	71	8	79
2020	402	3	7	3	8
2020	40721	-	28	-	52
2020	504	1	9	-	9
2020	1601	3	28	3	26
2020	209	3	3	2	-
2020	0207 12 900 00	0	20	-	22
2020	0207 14 100 00	1	36	3	37
2020	0207 14 100 00	499	109	499	109
2020	0207 14 200 00	4	16	4	14
2020	0207 14 300 00	0	3	-	4
2020	0207 14 500 00	0	21	-	17
2020	0207 14 600 00	1	8	-	12
2020	0207 14 910 00	0	8	-	10
2020	0207 14 990 00	0	1	-	1
2020	0207 26 100 00	2	-	2	-
2020	0207 27 100 00	7	-	7	-



დანართი N 2

წელი	სეს ესნ კოდი	ჩასატარებელი კვლევა	ჩატარებული კვლევა
2019	401	ლისტერია, სალმონელა	ლისტერია, სალმონელა
2019	0207 14 910 00	ტყვია, კადიუმი, ქლორამფენიკოლი	ტყვია, კადიუმი, ქლორამფენიკოლი
2019	0207 14 100 00	სალმონელა	სალმონელა
2019	40721	ქლორამფენიკოლი, სალმონელა	ქლორამფენიკოლი, სალმონელა
2019	202		სახეობრივი კვლევა
2019	203	ლისტერია, სალმონელა	ლისტერია, სალმონელა
2019	0207 27 100 00	სალმონელა	სალმონელა
2019	209	სალმონელა	სალმონელა
2019	305	ლისტერია	ლისტერია
2019	402	ტყვია	ტყვია
2019	206	ტყვია	ტყვია
2019	210	ტყვია	ტყვია
2019	302	ტყვია, კადიუმი, ვერცხლისწყალი	ტყვია, კადიუმი, ვერცხლისწყალი
2019	306	ტყვია, კადიუმი, ვერცხლისწყალი, ლისტერია (მზა საკვები), სალმონელა	ტყვია, კადიუმი, ვერცხლისწყალი, ლისტერია, სალმონელა
2019	1601	ლისტერია, სალმონელა	ლისტერია, სალმონელა
2019	201	ლისტერია, სალმონელა	ლისტერია, სალმონელა
2019	409	ტყვია	ტყვია
2019	40729	ქლორამფენიკოლი, სალმონელა	ქლორამფენიკოლი, სალმონელა
2019	0207 27 100 00	სალმონელა	სალმონელა
2019	0207 26 100 00	სალმონელა	სალმონელა
2019	0207 13 100 00	სალმონელა	სალმონელა
2019	0207 14 400 00	სალმონელა	სალმონელა
2019	0207 26 910 00	ტყვია, კადიუმი, ქლორამფენიკოლი	ტყვია, კადიუმი, ქლორამფენიკოლი
2019	40721	ქლორამფენიკოლი, სალმონელა	ქლორამფენიკოლი, სალმონელა
2019	40729	ქლორამფენიკოლი, სალმონელა	ქლორამფენიკოლი, სალმონელა
2020	0207 14 100 00	სალმონელა	სალმონელა
2020	206	სალმონელა	სალმონელა
2020	209	ტყვია	ტყვია
2020	40721	სალმონელა, ქლორამფენიკოლი	სალმონელა, ქლორამფენიკოლი
2020	1601	ლისტერია, სალმონელა	ლისტერია, სალმონელა
2020	504	სალმონელა	სალმონელა
2020	405	ლისტერია, სალმონელა	ლისტერია, სალმონელა
2020	0207 27 100 00	სალმონელა	სალმონელა
2020	402	ლისტერია, სალმონელა	ლისტერია, სალმონელა
2020	204	სალმონელა, ლისტერია	სალმონელა, ლისტერია
2020	0210 99 390 00	სალმონელა	სალმონელა
2020	307	ტყვია, კადიუმი, ვერცხლისწყალი	ტყვია, კადიუმი, ვერცხლისწყალი
2020	0207 14 910 00	ტყვია, კადიუმი, ქლორამფენიკოლი	ტყვია, კადიუმი, ქლორამფენიკოლი
2020	409	ტყვია	ტყვია
2020	0207 26 100 00	სალმონელა	სალმონელა
2020	305	ლისტერია	ლისტერია, სალმონელა
2020	306	ლისტერია (მზა სურსათი), სალმონელა	სალმონელა



აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

ხელმოწერა

თათია ცისკარაული
უფროსი აუდიტორი

ბიძინა მაყაშვილი
წამყვანი აუდიტორი

ლიზი ცივაძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ნათია ჩხვირკია
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ნიკოლოზ გულიკაშვილი
აუდიტორ-ასისტენტი

თ. ცისკარაული

ბ. მაყაშვილი

ლ. ცივაძე

ნ. გულიკაშვილი



